

„დამტკიცებულია“

მიწველთა საბჭოს 2022 წლის 22 აგვისტოს

N01-01/08 გადაწყვეტილებით

დანართი N2

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მოჩვენების საბჭოს

დავით ჩხარტიშვილი----- (სახელი გვარი)

7----- (პირადი ნომერი)

----- (ტელეფონის ნომერი)

(ელ-ფოსტის მისამართი)

--- (საცხოვრებელი ადგილი)

ბათუმი, ბარათაშვილი:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა  
ღია კონკურსში მონაწილეობაზე

გაცნობებთ, რომ სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებულ ღია კონკურსში.

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ შემდეგი სახის ინფორმაციას თანდართული დოკუმენტებით:

### 1. მუშაობის გამოცდილება

სამუშაო გამოცდილება ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)

ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია, მინისტრთა საბჭოს თავჯდომრის რეფერენტი - 1994 / ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე - ფილოსოფიის ისტორიის და რელილგიის ლექტორი - 1996 წ / 1995 ბათუმის უმაღლესი პედაგოგიური კოლეჯი, ფილოსოფიის და უახლესი ისტორიის მასწავლებელი / 1997 ბათუმის საგარეო საქმითა სამინისტროს წარმომადგენლობის მეორე მდივანი / 2004 აჭარის მთავრობის საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი / 2005 – 2007/06/07 შპს „აჭარა და ადჯარიას“ დირექტორი (მთავარი რედაქტორი) / 2006-2010

	„პელი ბათუმის“ მაჟორიტარი დეპუტატი. / 2008 მუნიციპალური გაზეთ „ბათუმური ქრონიკების“ მთავარი რედაქტორი (დაიხურა) / 2012-2014 ქ. ბათუმის მერიის ტურიზმის განყოფილების უფროსი. (რეორგანიზაციის საფუძველზე გაუქმდა) / 2018 ქ. ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტო - მთავარი სპეციალისტი. /

უურნალისტად მუშაობის გამოცდილება სამუშაო პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია, „გაზეთი აჭარა“, და სხვა

ადამიანის უფლებათა სფეროში სამუშაო გამოცდილება, მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია დაგუგლეთ

სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში სამუშაო გამოცდილება, მუშაობის პერიოდი (დაწყება/დასრულება)	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია - უნივერსიტეტი & პედაგოგიური კოლეჯი

## 2. აკადემიური ხარისხი

უმაღლესი სასწავლებლ(ებ)ის დასახელება/სახელწოდება და სწავლის პერიოდი	მინიჭებული აკადემიური ხარისხი არ გამაჩნია

ვიცნობ და ვეთანხმები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესს.

თანახმა ვარ, ჩემს მიერ წარმოდგენილი განაცხადი და მასზე დართული ყველა დოკუმენტაცია გასაჯაროვდეს.

დანართი - გვერდზე

1. პირადობის მოწმობის, პასპორტის ან ID ბარათის ასლი;
2. მაგისტრის ანდა მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. სამუშაო გამოცდილების დაამდასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ოფიციალურად დამოწმებული ასლ(ებ)ი;

განმცხადებლის სახელი გვარი  
ხელმოწერა

განცხადების წარმოდგენის თარიღი

~ 3 ~  
L P U B H  
20. 07. 22.

## **Curriculum Vitae**

დავით ჩხარტიშვილი - პუბლიცისტი

მობილური: 9999999999

დაბადების თარიღი ქ

განათლება:

1991 – 1996 წწ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი. ისტორიის ფაკულტეტი

სამუშაო გამოცდილება:

2015 წ. - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. მთავრი სპეციალისტი.

2018 წ. - ქალაქ ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტო - მთავარი სპეციალისტი.

2012-2014წ. ქ. ბათუმის მერიის ტურიზმის განყოფილების უფროსი

(რეორგანიზაციის საფუძველზე გაუქმდა)

2008 წ. გაზეთ "ბათუმური ქრონიკების" მთავარი რედაქტორი (დაიხურა).

2006-2010 წწ. „ძველი ბათუმის“ მაჟორიტარი დეპუტატი.

2005 - 2007/06/07 წწ. შპს "აჭარა და ადეარიას" დირექტორი (მთავარი რედაქტორი-დირექტორი).

2004 წ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

1997 წ. ქ. ბათუმში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობის მეორე მდივანი.



1995 წ. ბათუმის უმაღლესი პედაგოგიური კოლეჯი, ფილოსოფიის და უახლესი ისტორიის მასწავლებელი.

1996 წ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე - ფილოსოფიის და რელიგიის ისტორიის ლექტორი.

1994წ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რეფერენტი.

დამატებითი ინფორმაცია: პუბლიცისტი (სოციალ-ფსიქოლოგიური თემატიკა)

ავტორი მონოგრაფიებისა - "7 დეტერმინირებული ლექცია თავისუფლად მოსიარულე ადამიანზე" / "ამორ ფატი". ვთანაგმმრომლო-ბდი/ვ; პრესა.ჯე (სანამ ოპოზიციურად განწყობილი იყო სააკადემიური რეჟიმიმისადმი, კერძოდ კი 2008 მდე, ბათუმელები, აჭარა, აჭარა პს, რეგნუმ.რუ, იარექს.რუ, რეალტრიბუნ.რუსთან და სახვა)



၁၂၀၃

ବ୍ୟାକିଲି



## О ТРУДОВЫХ КНИЖКАХ РАБОЧИХ И СЛУЖАЩИХ

Постановление Совета Министров СССР и ВЦСПС  
от 6 сентября 1973 года № 656

(Изложение)

1. ...Трудовые книжки ведутся на всех рабочих и служащих государственных, кооперативных и общественных предприятий, учреждений организаций, проработавших свыше 5 дней...

4. Рабочие и служащие, поступающие на работу, обязаны предъявлять администрации предприятия, учреждения, организации трудовую книжку оформленную в установленном порядке.

5. Прием на работу без трудовой книжки не допускается...

6. В трудовую книжку вносятся:  
сведения о работнике: фамилия, имя, отчество, дата рождения,  
образование, профессия, специальность;

сведения о работе: прием на работу, перевод на другую работу, увольнение. Записи о наименовании работы или должности, на которое принят работник, производятся: для рабочих в соответствии с наименованиями профессий, указанных в Едином тарифно-квалификационном справочнике работ и профессий рабочих; для служащих в соответствии с наименованиями должностей, указанных в Единой номенклатуре должностей служащих, или в соответствии со штатным расписанием;

сведения о награждениях и поощрениях: награждения орденами и медалями, присвоение почетных званий; награждения и поощрения за успехи в работе, предусмотренные правилами внутреннего трудового распорядка и установленные оценкой; другие поощрения в соответствии с действующим законодательством;

сведения об открытиях, на которые выданы дипломы, об использованных изобретениях и рационализаторских предложениях и о выдачахенных в связи с этим вознаграждениях.

Записания в трудовую книжку не записываются.

7. С каждой записью, вносимой в трудовую книжку (вкладыш), о назначениях, перемещениях и увольнении администрации обязана ознакомить владельца этой книжки.

12. Заполнение трудовых книжек и вкладышей к ним производится на том языке, на котором ведется делопроизводство на данном предприятии, в учреждении, организации. В том случае, если делопроизводство ведется на языке союзной или автономной республики, то эти книжки заполняются одновременно на языке данной республики русском языке.

13. При увольнении... все записи, внесенные в трудовую книжку, заверяются подписью руководителя предприятия, учреждения, организации, или специально уполномоченного им лица и печати.



ЭМБАЛЬ 8106230

ЗТ-1 М 0130887

запись *h b u 6 f o d z o g m o*

кабретто ..... 053723

бабы карабетто ..... 0476045

карабетто карабетто .....

габа карабетто ..... *у м а с о м а с о*

(карабетто карабетто карабетто, карабетто,  
карабетто карабетто карабетто, карабетто)

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... 14. 206 80

карабетто карабетто ..... 26 56 03 05

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

карабетто карабетто ..... *у м а с о м а с о*

ଓଡ଼ିଆ କବିତା

ბის გენალი

სწერა სამუშაოზე გადატყვანისა და  
და კანონის მუხლის, პუნქტის მითითებით)

ଲୋକ ସାମ୍ରାଜ୍ୟରେ  
ଶ୍ରେଷ୍ଠାନୀୟ ହାନିର୍ଭେ  
(ଅସ୍ତ୍ରୀୟରେଣ୍ଟ୍ରୁ, ମିଳିଟି ରା  
ଦା ନେପିରି)

## အနောက် ပုဂ္ဂနိုင်ရွှေမျက်

1030

## the English as we speak

bhāṣyāmī amāṇḍī

---

## Մ ԺՆԵՎՈՒՅԹԻ ԱՐՁՈՒՆ

~~5933m36~~ 82



36d.672v.

- star. star and

Wf3a/22n31

3/11/1996

ପ୍ରକାଶକ

1109

42

ცენობაზი მუშაო

ბის შესახებ

3T-I № 0130887

ჩარიცხვის რიცხვი	თარიღი			ცნობები სამუშაოზე მიღებისა, დაოხოვნის შესახებ (მოხეხის აღნიშვნით)
	წელი	თებერვალი	თვე	
1	2	3		
3	996	01	03	ცალკეული კავშირის აუქტომატური მანქანის მანქანის
4	997	1	X	ცალკეული კავშირის აუქტომატური მანქანის მანქანის

სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და  
და კანონის მუხლის, პუნქტის მიღობებით

რის საფუძველზე  
შეტანილი ჩანაწერი  
(დოკუმენტი, მის თარ  
და ნომერი)

3 აპრილი  
1996 წელი  
ა. ქ. ე. ს. მ.

1 აპრილი  
1997 წელი  
ა. ქ. ე. ს. მ.

ცენტრალური ბიბლიოთეკი

გის ვესახებ

სხვა სამუშაოზე გადაყვინისა და -  
და კანონის მუხლის, პუნქტის მიშთითებით)

ରିସ ସାଫ୍ଟ୍‌ସ୍ପେଲ୍ବେଜ୍‌ରେ  
ଶ୍ରେଣୀନିଲୀ ହାନିଷ୍ଟେର  
ଅୟାୟମେନ୍‌ଟ୍‌ରେ, ମିଳିତ ତାଙ୍କ  
ଦ୍ୱା ନମ୍ବରି)

ଅନ୍ତର୍ଦୀପିଗମ୍


Stand. no. 2-46

ପରିବାରକୁ ଏହା କିମ୍ବା  
ପରିବାରକୁ

Hand. # 2-10  
24.19.1996

मुख लग्नारूप  
जन्मनास फ्रॉग फ्लक 32

Abd. n2-41 S  
204 1999



ცენობები მუშაო

პის უესახებ

3T-I № 0130887

ჩარიცხუ ლი	თარიღი			ცენობები სამუშაოზე მიღების, დათხოვის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით
	წლის	თვე	თვე	
1	2	3		
				საფუძველის მიზნის შესახებ f. გ. ა. უ. ე. პ.
1996	16	06		დათხოვის შესახებ სამუშაოზე მიღების მიზნის შესახებ გ. გ. ა. უ. ე. პ.
2004	31	08.		სამუშაოზე მიღების მიზნის შესახებ გ. გ. ა. უ. ე. პ.

სხვა სამუშაოზე გადატყვანისა და  
და კანონის მექლის, პუნქტის მითითებით)

რის საფუძველის  
უერანილი ჩანაწერი  
(დოკუმენტი, მისი თავ  
და ნომერი)

4

სამუშაო სამუშაო  
ნიშანი გადატყვანისა და  
და კანონის მექლის, პუნქტის მითითებით)

3 ხსნას N  
16.06.1996

Y. M. 1. გ. გ. ა. უ. ე. პ.

Shd. N12  
31. 08. 2004


318 ს. დ. 1

ცენტრალური მუზეუმის გვის შესახებ

ჩატარებული დღის თარიღი	თარიღი			ცენტრალური მუზეუმის გვის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით და მათხოვნის შესახებ (მიზეზის აღნიშვნით და კანონის მუხლის, პუნქტის მითხოვით))	რის საფუძველი შეტანილი ჩან (დოკუმენტი, მის და ნომერი)
	წლიდა	თვე	დღე		
1	2	3	4	5	6
20	2004	17	08	აჭარის ა. გ. გამგების დამატებითი აჭარის ა. გ. მიზეზის აღნიშვნით და კანონის მუხლის შესახებ	აჭარის ა. გ. გამგების დამატებითი ა. გ. მიზეზის აღნიშვნით და კანონის მუხლის შესახებ
21	2004	1	11	აჭარის ა. გ. გამგების დამატებითი ა. გ. გამგების მიზეზის აღნიშვნით და კანონის მუხლის შესახებ	აჭარის ა. გ. გამგების დამატებითი ა. გ. მიზეზის აღნიშვნით და კანონის მუხლის შესახებ

ՕԵՐԱՋԵՐՈ ՑԱՇԱՐ ՀՈՒ ՑԵՏԵՆԵՑ


**ცნობები დაჯილდოების უმსახვევა**

ჩარიცა რიცხვი	თარიღი			ცნობები ინტენებითა და მედლებითა კულტოების და საპატიო წოდების მინიჭების შესახებ	რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი)
	წელი	თვე	თვე		
1	2			3	4
2013	31	07		<p>გ. ა. ბუგაძე, ქ. ბ. ბუგაძის ავთბუ, ფუნდაცია კულტოების უმსახვევას კულტოების და გამოსახულების მინიჭების შესახებ 2013 წლის 01 ივნისის დღის ზე გადაწყვეტილი აქტის მიხედვის მიხედვის 31.07.2013</p> 	<p>შ. ა. 51787 31.07.2013</p> 
2014	05	09		<p>გ. ა. ბუგაძე, ქ. ბ. ბუგაძის ავთბუ, ფუნდაცია კულტოების უმსახვევას კულტოების და გამოსახულების მინიჭების შესახებ 2014 წლის 01 მაისის დღის ზე გადაწყვეტილი აქტის მიხედვის მიხედვის 05.05.2014</p> 	<p>შ. ა. 51113 05.05.2014</p> 

# დავით ჩხარტიშვილი აჭარის ტელევიზიის შესახებ და არა მხოლოდ!.. (ნაწილი I)

12.01.2020 20:29

აჭარის ტელევიზიასა და რადიოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, გიორგი კოხრეიძე.  
როგორც მოსალადნელი იყო, ის მყისვე მოქეცა კრიტიკის ქარცეცხლში; თუმცადა  
იმედი მაქვს, რომ მზად იყო ამ ტიპის მოვლენებისთვის და იცოდა, რაზეც მიდიოდა.  
რადგანაც ვგულშემატკივრობ და აი რატომაც; პირადად არ ვიცნობ, მაგრამ  
გარკვეული სიმპატიები გამაჩნია მის მიმართ. მოგეხსენებათ – თავად  
ვმონაწილეობდი მაგ, გროტესკად ქცეულ კონკურსებში და კანდიდატებს შორის  
კოხრეიძე ყველაზე ახლოს იდგა ჩემს პლატფორმასთან / მაგიტომაც! უფრო ზუსტად  
კი, ჩემი კონცეფციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტთან... მთავარია, თუ  
აღმოაჩნდება მას ახლა სათანადო უნარ-ჩვევები და ნება, განახორციელოს ის, რაც მე  
არ დამცალდა, ნაწილობრივ მაინც!



სანამ გადავიდოდეთ იმაზე, თუ რა არ დამცალდა, ორიოდე აბზაცით, თუ რა ხდება ამ მომენტისთვის თავად ტელევიზიაში. სხვაგვარად, პროცესებში არჩართული პირი სრულ სურათს ვერ დაინახავს. შესაბამისად ვერ განაზოგადებს ზოგადქართულ მედიასივრცეზე და საერთაშორისო ტრენდების ექსტრაპოლაციასაც ვერ მოახდენს რეგიონაურ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებზე.

### რა მიზანსაც ემსახურება წინამდებარე სტატია:

ხდება კი შემდეგი – კოხრეიძის ნებისმიერ გაფაჩუნებაზე იწყება ვალპურგის ღამისთვის დამახასიათხელი უწმინდურთა გნიასი, ვალკირიებივით ესევა ინტრიგებში გამოწრობილი წრე, ამ პირს „თავისუფლების“ სახელით. რომელსაც საშიშად მიიჩნევენ მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა იდეოლოგიურ-ფასეულობით პოლუსზე დგას, (კერძოდ კი ტრადიციულ-კონსერვატორული პარადიგმის წარმომადგენელია), და არც მისი თავისუფლების ვერსია შეესაბამება აჭარის ტვ-ს ჟურნალისტთა წამყვანი ნაწილის „თავუსუფლების“ ლიბერტარიანულ ინტერპრეტაციებს. ხაიპს სტეხენ ჭინკებივით-თქო, ცარიელ ადგილზე და არ აძლევენ საშუალებას, განახორციელოს ის, რასაც საღი აზრი უკარნახებდა ნებისმიერ ადეკვატურ ახალ დირექტორს. მერწმუნეთ, ფატუმივით გარდაუვალ ცვლილებებს, რომლებსაც კოხრეიძე თუ ვერ მიიყვანს ბოლომდე, სხვა გააგრძელებს. ისევ და ისევ აჭარის ტვ-ს ჯანსაღი ნაწილისა და რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე! აპრობირებული და დამახასიათებელი მეთოდია მაგ წრისთვის; გონის ავლით ემოციებზე მოქმედება. თუმცადა არ ვიჩქაროთ, ეტაპოვრივად და ატომარულ დონეზე განვიხოლოთ, თუ რატომ და როგორ ხდება იქ ის, რაც ხდება – სხვაგვარად, მოვექცევით ემოციების ტყვეობაში და შესაბამისად მაგ კონტინგენტის მიერ დაგებულ მენტალურ, სამართლებრივ და მორალურ ხაფანგში აღმოვჩნდებით, რის გამოც მათივე წესებითა და ნარატივებით თამაში მოგვიწევს. რაც ვერა და ვერ ივარგებს სამშვიდობოზე გასასვლელ გზად. ვერც ზოგადად, აჭარის ტვ-სთვის და ვერც ტელევიზიის კოლექტივისთვის. რომელიც თავის მხრივ რამოდენიმე სეგმენტად იყოფა და სხვადასხვა წარმომავლობისა, „ბაგაჟის“ თუ უნარ-ჩვევებისაა / რისი გათვალისწინებაც სხვათაშორის უმნიშვნელოვანესია სწორი საკადრო პოლიტიკის წარმმართვის საქმეშიც და არა მხოლოდ აჭარის ტელევიზიაში.

მაშ ასე, ამ ეტაპზე კოხრეიძის ფრიად მორიდებულ და ლეგიტიმურ მცდლობებს დეკორატიულად მაინც დაატყოს ხელი ტელევიზიას – უპირისპირდება წლების მანძილებ პროვინციელი მემარცხენე ლიბერალ-ლიბერტინელების სამჭედლოდ ქცეული უწყების თანამშრომლების ნაწილი. დიდწილად კაპანაძის და თეა ცეცხლაძის (ყოფილი დირექტორების – რედ.) მოყვანილი კადრები, თუ რა აკავშირებს ამ 2 ფიგურას ერთმანეთთან, როგორ ხდება ერთის მხრივ ნაციონალური მოძრაობის აქტივის (ურა-პატრიოტების) და მეორე მხრივ არასამთავრობო-სოროსისეული ელემენტის შეხმატკიბელაბა „თავისუფლების“ ეგიდით, ქვემორე ვისაუბრებ. აქ უბრალოდ დავსძენ რომ – ორგანულად! მანამდე კი, გეტყვით იმ „კარნავალიზაციის“ საფუძვლების შესახებ რაც იშლება ჩვენს თვალწინ და რომელიც „ფერადი ტექნიკოლოგიების“ ერთ-ერთი შემადგენელი/ზედნაშენია. იმას მოგახსენებთ, თუ რას კადრულობენ კაპანაძის და ცეცხლაძის კადრები „თავისულების“ სახელით,

თუ რა კავშირი აქვს ამას თავისუფლებასთან და თუ როგორ ჰყავთ მძევლებად აყვანილი აჭარის ტე-ს დანარჩენი თანამშრომლები / „მდუმარე უმრავლესობა“, რომლებსაც / ვისარგებლებ რა შემთხვევით და ჯერ პატივისცემას დავუდასტურებ, შემდეგ კი გააკტირებისკენაც მოვუწოდებ. რადაგანაც მათ გასაკეთებელს, მათზე უკეთ ვერავინ გააკეთებს და რიდის დროც აღარაა ნამვილად!

აქციას-აქციაზე, ჯერ საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები გვიმართავენ, მერე კი შემოქმედებითი დარგიდანაც უერთდებიან საპროტესტო ტალღას და ჩვეულ ამპლუაში ერთობლივ ფლეშმობებსაც უმართავენ მხოლოდ კოხრეიძეს როდი, მთელ აჭარას – რომელსაც ყელში აქვს ამოსული ამ უტიფარი ჯგუფის ბოგინი, ტინგიცი და მანიპულაცია ციფრებით. ცნობისათვის, ლამის 9 მილიონიანი დაფინანსების, 350 თანამშრომლიანი კოლექტივი ქართულ ტელევიზებს შორის მე-16 ადგილს იკავებს. მაგალითისავის, 25 არხი, რომელიც ნეკროლოგბით ირჩენს თავს განუზომლად მაღალრეიტინგული, აკადეიური და შემეცნებითი ვიდრე ეს სიყვითლის ზღვაზრე მდგომი და წლების განმავლობაში არასამთევრობოების, ლიბერტინელების და ნაცაქტივისტებისთვის „კარმუშკად“ ქცეული უწყება.

და განა თავად არ იციან?..

მაგრამ, რა გონირებით გვიუდერებენ საპროტესტო მესიჯ-ბოქს; „შეწყვიტოს დაუსაბუთებელი ბრალდებები, თვალთვალი, შანტაჟი, თანამშრომლებზე თავდასხმა და დისკრედიტაცია და ა.შ.“ ღიმილის მომგვრელია ემილ ზოლას პერსონაჟებისგან ლუთერ კინგობანას თამაში / „გაღმა შეედავე – გამოღმა შეგრჩებაო“ პრინციპით მოქმედებენ მერამდენედ, ოღონდ მეთოდიკაც მოუძველდათ და ხალხიც აღარ ჭამს... მოკლედ, სტანდარტული ბრალდებების კოლექციაა მათი მხრიდან-თქმ, დამახასიათებელი დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის პირებისთვის, თავისი ლოგიკური გაგრძლებებითურთ / მათ მყისვე ეხმაურებიან იდეურად მონათესავე „მედია-ექსპერტები“, „ნაციონალური მოძრაობა“ განტოტებებითურთ. ბოლო შტრიხად კი ამ „თავისუგლებისთვის ბრძოლას“ სახალხო დამცველიც ეხმიანება და „მაუწყებლის გუნდს სრულ მხარდაჭერას უცხადებს“. სატელევიზო „კარტინკაც“ მზადაა – „პრადვინუტი, პროევროპელი, თავუსუფლებისთვის მებრძოლი ახალგაზრდა ნიჭიერი კოლექტივი“, ე.წ. „ქოცების, რეტროგრადების და რუსი ოლიგარქის“ წინააღმდედ, რომლებიც ეცილებიან წმიდათაწმიდას (!) „სიტყვისა და გამოხატვის თავუსუფლებას“ / ამ „ევრო-ატლანტიკური ცივილიზაციის ქვაკუთხედს“, „რუსული რეიდერული“ მეთოდებით... ადვილად პროგნოზირებადი რეაცია-მოვლენებია, რადგანაც ბუნების შესაბამისად მოქმედებენ!.. ზემორე, უმნიშვნელო ღელვაა იმ სიღრმეებთან შედარებით რაც ამ მოველნების წყების განმაპირობებელია / ერთი ბუნებისაა-მეთქი ესენი – „ლელო“, „რესპუბლიკელები“, ალასანიას ხალხი და „ნაცები“, არასამთავრობოების დიდი ნაწილი and so on., ვისთვისაც კონტროლის შენარჩუნება ამ და სხვა მონათესავე ტელევეზიაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „მსგავსი მსგავსთან მიდოსო“ – ცნობილია უხსოვარი დროიდან!

მოგეხსენებათ, „ნამდვილი ცოდნა – მიზეზების ცოდნაო“.

ხოდა ამიტომაც, დავიწყებ ექსკურსით აჭარის ტელევიზიის უახლეს წარსულში; იმ ავბედით კონკურსში რომელშიც ნათია კაპანაძე იქნა არჩეული წლების წინ, ვმონაწილეობდი მეც. რა მოხდა მაშინ და; 4-კაციანმა კომისიამ, რომელთაგან თითოეული 2012 წლის მოცემულობით საპარლამენტო პარტიებს წარმოადგენდა და უშუალოდ მურმან დუმბაძის კურთხევით იყო დაკოკომპლექტბული (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უწყება აჭარაში და მათ შორის არ იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ანდა „ოცნების“ მანდატით გვევლინებოდნენ ნეოლიბერალი კადრები), წყვეტდა ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მაუწყრბლის ბედს, როგორიც აჭარის ტელევიზიაა „პოლიტიკაში მზარეულის“ ჩანერგვის მეთოდოლოგით / სიტყვაზე, როგორც ეს ზოგადად აჭარაში დღესაც გვხდება სხვა სოციალურ-პოლიტიკურ ველებზეც, თუმცალა მიმიკრიის მაღალი უნარის გამო მათი გამოვლინება და შესაბამისი რეაგირება ვერ ხერხდება რაც ზოგადად აფერხებს „ქართული ოცნებასაც“...

### თუმცალა დავუბრუნდეთ ძირითად თემას.

ულტრალიბერალების კითხვები მაშინ, ჩემდამი იწვევდა მხოლოდ ღიმილს (სიმართლე გითხრათ არც ჯანმრთელობა მიწყობდა ხელს, რაც ღვთის შეწევნით დავძლიე), რადგანაც არსებულ ფორმატში შეუძლებელი იყო ამ ალასანია-რესპუბლეკელების ფანკლუბისთვის პუნქტობრივად განმემარტა, რომ სულაც არ ვარ რეტროგრადი, რუსოფილი ან შავრაზმელი თუკი განსხვავებული აზრები მაქვს და ბავშვობაში წაკითხული საჭირო წიგნებისა, საღი აზრის და აღზრდის წყალობით ვარჩევ სიმართლეს სიცრუისაგან ინტუიტიურ დონეზე და არ ვეგები მათ იაფთასიან პროპაგანდის ანკესზე. თუმცალა, მაინც ვცადე მათთან საუბარი ტრადიულ ფასეულობებათა ნგრევაზე, ეთნოსთა და კულტურათა შორის საზორების წაშლის საშიშროებაზე, თავად ევროპაში შეხედულებათა გადაფასების პროცესზე, სტერეოტიპების ნგრევაზე, რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან ტელეხიდების მეშვეობით ურთიერთობების დამყარებაზე და ჩვენი ცხოვრების წესით, მათ მოხიბლვაზე – ამაოდ. ვთქვი ასევე, რომ მსურდა გამოვიყენო ტელევიზია მეცნიერებისა და განათლების პოპულარიზაციისათვის. სფეროების, რომელიც იმდენად სავალალო მდგომარებაშია ჩვენთან, რომ ლამის ყველა მესამეს უნდა აუხსნა – დედამიწა ბრტყელი არ არისო. რომ გავაკეთებდი ყველაფერს სულიერ ფასეულობათა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ტელევიზიის მეშვეობით, ასევე აქცენტს მსოფლიოში არსებულ შეხედულებათა მრავალფეროვნებაზე და ტრადიციული ოჯახის, ადამიანის სიცოცხლისა, აღმსარებლობის თავისუფლების მნიშვნელობის წარმოსაჩენად მჭირდებოდა მე ეს ბერკეტი. გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, როგორც მოსალოდნელი იყო შეარჩიეს ძალზე შეზღუდული გოგონა არასამთავრობო სექტორიდან / მათივე ხატი და მსგავსი, ჩემნაირებისგან საპირისპირო პოლუსზე მდგომი, რომელიც დროგამოშვებით ეპატაშურად მსჯელობდა „ნატოს“, ევროკავშირის, სოროსის და თურქეთის, სექსუალური უმცირესობების და გასართობი პროგრამების როლზე „ახალი თაობის“ აღზრდის საკითხებში. რომელიც მისი აზრით; მალევე ევროატლანტიკული ერთობის სრულფასოვანი წევრიც უნდა გამხდარიყო. ისტორიამ არ იცისო ხოლმეობითი ბრუნვა, მაგრამ მაშინ მე რომ ავერჩიე დღეს ტელევიზიაც სხვა იქნებოდა და შესაბამისად რეგიონიც. თუმცალა, მოვეშვათ

წარსულზე საუბარს; დავუბრუნდეთ აწმყოს, ჯერ არდაკარგულ შესაძლებლობას ყველამ ერთად ვაქციოთ ტელევიზია იმათ რადაც უნდა ქცეულიყო, რომ არა კაპანაძის არჩევა და ამ არასწორი გადაწყვეტილებით გამოწვეული გვერდითი ეფექტებიც განვიხილოთ. ასევე, მათ აღმოფხვრაზეც ვისაუბროთ / არსებული პრობლემების კეთილსინდისერ ინვენტარიზაციას უკვე კოხრეიძის პირობებში შევეხოთ-თქო. იმასაც კი, თუ რისი გამოსწორება შეიძლებადა ისე, რომ არ დავაზიანოთ არსებული დისკურსიც; რომელიც რაგინდ მიუღებელი უნდა იყოს ჩემთვის, მაინც საჭიროდ მიმაჩნია რომ არსებობდეს ... მეორეს პარალელურად. რომ მეორე – სხვა, მაგის საპირისპირო უკიდურესობაში არ გადავარდეს ტელევიზია. რადგანაც ძნელია ბალანსის დაცვა როდესაც არაფერი არ დევს სასწორის მეორე პინაზე / ანუ ეს, ახლა არსებული დისკურსი შესანარჩუნებელი უნდა იყოს აუცილებლად, მაგრამ ამავე დროს შევმატოთ უნდა ახალიც. ვიმოქმედოთ კი, ფაქიზად / როგორც იუველირები და არა ყასაბები, რაც დაანგრევს მაგ, ისედაც ტრავმირებულ ტელევიზიას. აჭარას ტვ-ს ჰქონდა თავისუფლება ერთი დისკურსის ჩარჩოში, პირობითად ამას „რუსთავი 2“-ის დისკურსი დავარქვათ, ახლა კი უნდა ჰქონდეს მრავალი დისკურსის ფარგლებში თავისფლება-მეთქი. იმდენი, რამდენსაც ზიდავენ აჭარის უურნალისტები, რომ თავად ტელევიზიაში ცვლილებებთან ერთად, რეგიონისთვისაც მთლიანობაში გამოვიმუშავოთ საჭირო ახალი დისკურსი. საუბარი მაქვს პასუხისმგებიან და კონსტრუქციულ უურნალისტიკაზე და არა იმ კვაზიჯურანალისტიკაზე, რაც დღეის მდგომარეობით გვხდება მანდ.

და როგორ ვხედავ მე ამ პროცესს, რის და რა ძალების წინაშე დგანან ისინი და პერსონალურად კოხრეიძე, რა უნდა მიიღონ და რა უარყონ ძველი და ახალი დაამკვიდრონ – ზოგადად, რაზე უნდა მოხდეს პედალირებაც და ა.შ.

აჭარის ტელევიზის სულისკვეთება/დისკურსი, ჩემი სამშობლოს საუბედუროდ და საბედისწეროდ, გამონაკლისი როდია. ქართული მედიასივრცის 90 % ეკუთვნის ამ კონტინგეტს / რომლეთა დროშას ნეოლიბერალიზმი და თავისუფლების გაუკულმართებული სლოგანები აწერია. ბედის ირონია იმაშია რომ ამ ყველაფერს, არც თავისუფლებასთან, არც ლიბერალიზმთან კავშირი არ აქვს! შეიძლება პირობითი – როგორც, უურნალ „პლეიბოის“ და „ბიბლიას“ გუტენბერგის სახელთან მიმართებაში. რადგანაც ლიბერალიზმი კალისკური გაგებით, და არა ამ მიმართულების იმ პროფანაციული ფორმებით, ეს კონტინგენტი რომ გვტენის წლებია; არის ილიას, ფრანკლინის, ჯეფერსონის და ლოკის სწავლება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ძალებთან, სულ ცოტა ხნის წინ შტატებს და ევროპასაც რომ მართავდნენ. ასევე უშუალოდ სოროსსთან – რომლის ჰიპოსტასებს ესენი აქ წარმოადგენენ, ბევრი უნებლიერდ, ტრენდებს აყოლი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ვერდანახვის გამო.

ლიბერალიზმის მშვენიერება და ძალა სწორედ რომ მარადიული იდეების მრავალფეროვნებაშია, რომლებიც ეფუძნება არჩევანის თავისუფლებას, ეთიკას და ზნეობას და არა ეს სოროსისეულ-გაუკულმართებულ ცხოვრების სტილის პროპაგანდას და იდეოლოგიას რომელსაც გატენიან ქართული მეინსტრიმული მედიით. აჭარის-ტვც ამ ფერხულშია ჩაბმული, ოღონდ მიმბაძველ-რეციპიენტად

გვევლინება და არა დონორად, რადგანაც იდეის გატარებასაც ნიჭი და პროფესიონალიზმი სჭირდება. აյ კი მხოლოდ იმიტაციას ვხვდებით. მოკლედ, ისინი და მათი ადეპტები, რომლებიც სამყაროს შავ-თეთრ ფერებში ხედავენ არ, ან ვერ ესმით ერთი მარტივი ჭეშმარიტება; სამყარო, გაცილებით ღრმა, მრავალწახნაგოვანი და ის რომ დღეს, საქართველოში სოროსის აქტივისტობა პროევროპელობის სინონიმია, გაუგებრობაა, გარედან თავსმოხვეული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ერთგვარი ჩიხური განშტოებაა. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ისინი ანტონიმები არ გახდებიან (ტენდენციაც კი სახეზეა თუ ერკვევით საერთაშორისო ურთიერთობების ანაბანაში). ზეგ, საერთოდ სრულიად განსხვავებული რამ შეიძლება წარმოიშვას, რაც სხვა კუთხიდან დაანახებს მათ დღევანდელ პოზიციებსაც. განა მარქსიზმი თავის დროზე არ იყო ულტრაევროპული სწავლება და გურულები არ აყვნენ ლამის პირველები მარქსიზმს მსოფლიოში, ჯერ კიდევ 1905 წერლს? რა მიიღეს / ეკლესიების ნგრევისა, სულიერი დეგრადაციის და მამაოების პარსვის გარდა – ეს უმსგავსობანი ხომ მათაც ევროპულობა ეგონათ მაშინ...

სიტყვაზე, არაფერი ვარგა ულტრა / გინდ ეს ტრადიონალიზმი, გინდ ლიბერალიზმი ანდა სოციალიზმი იყოს – თუ დაჭიმავ სიმებს ისინი გაწყდება, თუ მოუშვებ, ბგერას აღარ გამოსცემენ!.. ხოდა ამიტომოცაა ასე მნიშვნელოვანი ბალანსის დაცვა-თქო, ყველგან და ყველაფერში. სწავლებები მიდი-მოდიან და ეს როდია ევროპა, რასაც ჩვენთან ევროპად ასაღებს ეს წრე. უფრო მაღანეზიურ „კარგო კულტს“ ჰგავს, როცა თაყვანს სცემენ და თუთიყუშებივით ბაძავენ იქაური ტომები ევროპულ წეს-ჩვეულებებს. როცა ტექსტი და არა გონი და სულისკვეთება გხიბლავს / ევროპა არის იდეა, ქრისტიანობა, ლიტერატურა, მუსიკა, დემოკრატიული ინსტიტუტები, მთავრობის კონტროლი კომპენტენტური უურნალისტების მხრიდან, თემების აქტუალიზაცია და სახელმწიფო აზროვნება, სამოქალაქო საზოგადოება და არა მხოლოდ არასამთავრობო სექტორი.

აი, ასეთ ევროპის დამკვიდრებაზე, აქ ჩვენთან, უნდა იზრუნოს აჭარის ტელევიზიამ!

ამაში უხდის მათ საზოგადოება მილიონებს და არა იმ სიმულაკრების ტრანსლაციაში და მდარე პაპსასა თუ პროვინციულ გლამურში, რასაც უტიფრად გვტენიან ხოლმე. თანაც უნიჭოდ, იგივე „მთავარი“, TV-1-ლისა თუ „რუსთავი-2“-სგან განსხვავებით, რომლებიც მოგვწონს თუ არა, მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან თავიანთი იდეების მსახურში & პოპულარიზაციაში! ეს „ЛИКБЕЗ“-ი, უშუალოდ იმ ლიდერშიპს ეხება, ვინც წლებია მართავს აჭარის ტვ-ს. ვმეორდები რომ არ მოხდეს განზოგადება მთელს აჭარის კოლექტივზე, რისი მცდელობაც ექნება ამ ჯგუფს უცილობლად; დიდ პატივს ვცემ ტელევიზიის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ამ ჯგუფს ლამის მძევლებად ჰყავს აყვანილი. თავად კი ეს ტელევიზია ჩემს წარმოდგენაში; სპლიუვს ჰგავს, რომელიც პატარაობისას თოქით მიაბეს და ზრდასრლობისაც ვერ აღწევს ამ წვრილ თოკს თავს. რადგანაც ჰგონია, რომ ეს თოკი მას გააჩერებს ისევე როგორც პატარაობისას შეაჩვიეს და აჩერებდა კიდევ. აი ეს თოკია, დღევანდელი აჭრის ტვ-ს მენეჯმენტი რომელიც თავად კოლექტივის ჯანსაღმა ნაწილმა უნდა ჩაწყვიტოს და კოხრეიძეს ამოუდგეს მხარში. რაგინდ მტკიცნეული არ უნდა დარჩეს ეს პროცესი – კერპების მსხვრევა არაა მარტივი, ეგეც ვიცი და არა გადმოცემით!

უნდა გააკეთონ გასაკეთებელი, მეტვება აბა ის ხალხი თავად წავიდეს, ან  
მეტამორფოზა განიცადოს!

არადა სოციალური პასუხისმგებლობის ნატამალი რომ ჰქონოდათ უკვე დაწერილი ექნებოდათ განცხადებები წასვლაზე, ანდა კოხრეიძესთან არა საომარად, არამედ თანამშრომლობის ახლებურ ფორმებზე შეთანხმებული იქნებოდნენ ტელევიზიისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. განსაჯეთ, სამთავრობო წესი აბაშიძე-ვარშალომიძეს პერიოდებში, ნათესაობისა და რეჟიმებისადმი უბრალოდ ლოიალარი ხალხის მისვლა იქ მასობრივად, ნიჭიერი კადრების ჩანაცვლების ანდა მოშორების ხარჯზე, სოციალური ლიფტის არქონა და კოლექტიური დემოტივაცია – რაც გამოწვეულია იქ არასამთავრობებისა და ნაციონალური მოძრაობის დისკურსის ადეპტების აღლუმით, უკვალოდ არ ჩაივლიდა. მხოლოდ დირექტორები არაა მანდ დამნაშავე, არამედ მთელი ლიდერშიპი, მათი უახლოესი წრე – თანაავტორები და თანაშემოქმედნი იმ უმსგავსო შედეგისა რაც მოიტანა იმ არაკომპტენტური დირექტორების საქმიანობამ. გამოსწორებაზე არავინ ფიქრობდა, ყოველი ახალი დირექტორი მხოლოდ უმატებდა პრობლემებს არასწორად არჩეული ალგორითმის გამო. ავგიას თავლას ამსგავსებს-თქო ეს გარემოებანი იქაურობას და წმენდის ლამის იგივე მეთოდსაც ითხოვს. არადა თავშივე ვეუბნბოდი ბორდს, რომ ბევრად მეტის პოტენციალი გააჩნდა და გააჩნიათ მაუწყებელში რადგანაც არ არიან ბაზარზე დამოკიდებულნი, მაგრამ რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის გარეშე ვერაფერს გახდებოდნენ. დღეს ჩემი სიმართლე სახეზეა. იქნებ ადრეც, მაგრამ ისინი ყოველ ჯერზე თავისუფლების სიმულაციას ირჩევდნენ და მზუთხავ-მეზღაპრეებს ანიჭებდნენ უპირატესობას... აი ეს უნდა მოსპოს კოხრეიძემ უპირველეს ყოვლისა, მაგრამ კოლექტივის იმ ნაწილთან ერთად, ვინც არც ერთ იქ გაბატონებეულ დისკურს და კლანს არ ეკუთვნის. ამავე დროს სვებიც მოიზიდოს – ის ხალხი, ვისთვისაც დახურული იყო რეგიონალური მაუწყებელი მთელი ეს წლები!

კოხრეიძემ უნდა აჩვენოს ყველას რომ სამართლიანი ხელმძღვანელია!

არ დაიწყოს ისე ცვლილები, სანამ არ შექმნის მრჩეველთა საბჭოს. დააკომპლექტოს უნდა ის, ამ დარგში და საზოგადო ასპარსზე ნდობით მოსარგებლე ავტორიტეტული პირებით. ვთავაზობდი ბორდს და ახლაც ვთავაზობ პირველ ხუთეულს უკვე კოხრეიძეს; ესენი არიან რამაზ სურმანიძე, ვახტანგ ღლონტი, გიორგი მასალვინი, ასლან ლორთქიფანიძე, ერმილე მესხია... თავად მიხვდება მკითხველი თუ რატომაა ასეთი შემადგენლობა, გამომდინარე იქიდან თუ რა სჭირდება და შესაბამისად აკლია მაგ ტელევიზიას. მათთან ერთად უნდა გადააფასოს ყველა პროექტი, კაპიკ-კაპიკ დაითვალოს იმ წრის საქმიანობა რომლებიც აჭარის ტვ-ში დღემდე ამინდს ქმნიდა და გადახედოს ყველას ხელფასებს. ვინც არ იმუშავებს უბრალოდ გაუშვას სახლში, ვინც იმუშავებს და კრეატიულობის მაღალ ხარსხს გამოამჟაღვნებს ბევრად მეტი მისცეს – ამ ყველაფერს სიტყვის თავუსფლების ხელყოფასთან არაფერი აქვს საერთო, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ და სამომავლოდაც ეცდება ეს ხალხი. წრე – რომლის უმრავლესობა არც დიდი ნიჭით გამოიჩინა და სხვის ადგილებსაც იკავებს, საბიუჯეტო ორგანიზაციაში... მხოლოდ ასე მოიპოვებს ახალი დირექტორი მხარდაჭერას კოლექტივის ჯანსაღი ნაწილისგან

და რეგიონის მოსახლეობაც მას მხარში ამოუდგება – რადგანაც ის ჯერჯერობით უცნობია ჩვენი კუთხისთვის და ეს არაა ასეთ საქმეში მთლად უმნიშვნელო მომენტი.

რეალურ, ლიგიტიმურ და ალტერნატიულ მრჩეველთა საბჭოსთან მაქსიმალურად საჯაროდ და არგუმენტირებულად უნდა გაიაროს, თუ რაშია ამა თუ იმ გადაცემის წარმატება ან წარუმატებლობა, ახალ პროექტებზე კონკურსი გამოაცხადოს, განიხილოს თუ როგორ მუშაობს ტექპერსონალიდან დაწყებული, ტოპურნალისტ – ჩვეულებრივი კორესპონდენტით დამთავრებული, ჩაჰუეს ყველა რგოლს-თქო.

კარგად გაითავისოს რომ ომშია რომელშიც დანდობა არაა და მაქიდან ან ფარზე ან ფარით უნდა წამოვიდეს. დისკურსების და სიმბოლოების ომშია, რომელიც უნდა მოიგოს კოლექტვთან ერთად და საზოგადოებისთვის სანდო სახეების მეშვეობით (და არა არსებული ბორდის მხარდაჭერით, რომელმაც პირველი რაც გააკეთა ხელფასები გაიზარდა ერთ-ორად, რითიც ლახვარი ჩაარტყა ახალ დირექტორს, მათ არჩეულ კადრსვე „მორალური სიცხადე“ ლამის დაუკარგა ამით).

ერთად-მეთქი, ალტერნაიულ ბორდთან / გინდ სარედაქციო საბჭო, გინდ მრჩეველთა საბჭო დაარქვან მაგ ახალ წარმონაქმის, სხვაგვარად ან არ გამოვა ან ძალიან შეფერხდება ჩაფიქრებული ცვლილებები. რთული, დელიკატური პროცესია – ამიტომაც თავად კოხრეიძეს მანდ ძალიან ნატიფი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, რათა ღვარლძს ხორბალი არ გადააყოლოს. გაჩერდება – არაფერს მოიმოქმედებს? მაშინ ეშინია ბულინგის იმ თანამშრომლების მხრიდან ვინც თავისუფალი სიტყვის საფარქვეშ წლებია ირჩენს მანდ თავს და სულ ტყუილად გადაურბინა სხვასაც გზა, გამოდის. თუ მასეა, საერთოდ არ უნდა მისულიყო იქ – ამიტომაც არ აქვს უკან დახევის უფლება.

## ან რას ერიდება?

მაგ ტელევიზიაში არც სოციალური ბლოკია და თუა „თეთრი ხმაურის“ წევრები ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე გვესაუბრბიან, ანდა ლგბტ აქტივისტები ქართველების სიბნელეზე და „რუსი ოლიგარქის ხუშტურებზე“. არც პირდაპირი ეთერია საკმარისად და თუა, ორკესტრირებული შეტევა მიდის ეკლესიაზე და სახელმწიფოზე. მეცნიერების და კულტურის პაპულარიზაციის ნაცვლად, მხოლოდ ჰედონისტური ფასეულობების იმპლემენტაციის მცდელობებია ... არადა რეგიონალურმა მაუწყებელმა საუნივერსიტეტო მაუწყებლის ფუნქციაც უნდა შეითავსოს „по умолчанию“. არაა გემოვნებიანი და შემეცნებითი გასართობი (ე.წ. ინფოტეიტმენტი), საბავშვო გადაცემები და საკუთარი წარმოების სერიალებიც. არის მხოლოდ მდარე, უგემოვნო, ბანალური გადაცემები და ისიც 10 % არ აღემატება, არადა კანონის მოთხოვნაა – 25 % მაინც უნდა იყოს. არ ვამბობ ეთერის ტექნიკურ ამოვსებაზე – ადგილობრივი ამბები მხოლოდ ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, უკეთესი გახადონ ადგილობრივების ცხოვრება და მოხდეს ეს უნდა ზემორე აღწერილი მიდგომებითა და სპეციალური რეპორტაჟებით, თუ სოციალური დანიშნულების სერიალებით. საერთოდ არაა ადგილობრივი წარმოების ანიმაციური ფილმებიც – არადა აგრესიული მასობრივი კულტურისგანაც უნდა დავიცვათ ჩვენი ბავშვები. ტიხრების თუ სტუდიების ვიზუალი და ესთეტიკა შუა საუკუნებრივი

დიზაინისაა; არადა 30 000 ლარად 7 D პროექტორებს შეიძენ რომ დაინტერესება იყოს... ერთ ოთახში 300 სპარტანელი გადაიღეს, მაგრამ აჭარის ტელევზია ვერ გასცდა საკაბელო ტელევიზიის დონეს. ეუბნები ამას და, იქით გიტევენ „სიტყვის თავისუფლებას“ ხელყოფენო... არადა დღეს პრობლემა ცენზურაში კი არაა, არამედ დისკურსის ტოტალურ კონტროლში და გემოვნებაშია, რომელშიც აჭარის ტელევიზია წლებია იმყოფება და უგემოვნო, მცირე დიაპაზონის თვალსაწიერის ხალხი ხელმძღვანელობად აზის. სხვა გზა არაა, კოხრეიძემ ეს მანკიერი წრე უნდა გაარღვიოს რადგანაც სხვას არ დაცალდა და მაგ საქმეში, ყველა წესიერი ადამიანი აჭარაში მის გვერდში იქნება და მეც გვედში მიგულოს. რადგანაც ყველა ხედავს რომ სოციოკულტურული და ზნეობრივი ნაპრალი ჩვენს საზოგადოებაში ღრმავდება, ეროვნული ფასეულობების სტიმულირება ვერ ან არ ხდება – ის ერთადერთი ბერკეტი კი რომელსაც შეუძლია ეს სიტუაცია გამოასწოროს ჩვენს რეგიონში იმ ხალხის ხელშია ვისთვისაც უცხოა ჯანსაღი სულისკვეთება და შთამომავლობაზე ფიქრი, ბოშათა ბანაკის პრიორიტეტები კი ევროპული ცივილიზაციის ნაწილი ჰგონიათ. მარკეს ჰერითხეს, როგორ განვასხვავოთო პროფესიონალიზმი და ეთიკა ჟურნალისტიკაში? მან მიუგო, რომ ეს იგივეა ბუზი და ბზუილი გაყოო; ანუ თუ ეს არაეთიკურია, ეს უკვე არაპროფესიონალურია – აჭარის ტელევიზიაში ეთიკა უნდა დაბრუნდეს უპირველეს ყოვლისა!

დანა, დამნაშავის ხელში იარაღია, ქირურგის ხელში შველაა – ასეა ტელევიზიაც:

ამიტომაც ვანიჭებ მას ასეთ როლს და მაგიტომაც მივიღე ამდენჯერ კონკურსში მონაწილეობა, რადგანაც XXI საუკუნეში სწორედ ტელევიზიას და არა მთავრობას აქვს გადამწყვეტი როლი სოციალურ ინჟინერიაში. გაითავისოს უნდა ყველამ, რომ ტელევიზიის გამართულ და სწორ მუშაობას უმნიშვენელოვანესი როლი აქ აჭარისთვის, რადგანაც ის გამაერთიანებელია, პოპულარიზაციაში და პროპაგანდისტია – გააჩნია ვინ ყავს მთავარ რედაქტორად ... ამიტომაცაა საჭირო როცა იქ ხელმძღვანელ თანადმებობაზე ხარ, იცოდე ისტორია (განსაკუთრებით კუთხის), სოციოლოგია, მასების ფსიქოლოგია და ხელოვნების აზრზე იყო. ტელევიზიის განვითარების ჩემეული ტრენდი ითვალისწინებდა ასეთ მიღებებს, მინდა მჯეოროდეს რომ კოხრეიძეც იგივე ფასეულობებითა და ხედვებითა მანდ მისული, რადგანაც სხვა შემთხვევაში სულ ტყუილა მიწვალია. შეჯამებისას მკითხველს მე-13 საუკუნის არაკს გავახსენებ, ტაძარს აშენებდნენ შარტრში, ალბათ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზს მსოფლიოში. ხოდა შარტრის ტაძარის მშენებლებს ჰკითხეს რას აშენებთოთ და ერთმა უპასუხა „ორმოს თხრიო“, მეორემ „აგურები გადამაქვსო“, მესამემ „ვზილავო დუღაბს“, მეოთხემ კი – რომელიც ხატავდა კედლებს „ტაძარს ვაშენებო“ / ამიტომაცაა ასე მნიშვნელოვანი როცა გესმის რას აკეთებ და რისთვის აკეთებ ...

დავით ჩხარტიშვილი

(გაგრძელება იქნება)

აჭარის ტვ “გირჩად” აქციეს – დავით ჩხარტიშვილი  
აჭარის ტელევიზიის შესახებ და არა მხოლოდ (ნაწილი II)

28.07.2020 12:00

სევდანერევი ირონიის გარეშე არ შემეძლო ე.წ. ალტერნატიული პროფესიონელის, „ნაც“ & „ლელოს“ აქტივის, „ბათუმელთა დარბაზი“-სა და „მე მიყვარს ბათუმი“-ს განცხადებების კითხვა. დიდწილად, სწორედ რომ მათმა ისტერიულმა ფლეშმობებმა ტელევიზიის გარშემო, გადამაწყვეტინა მეორე ნაწილის დაწერა.



აღარ ვაპირებდი, მაგრამ წინამდებარე სტატიის პირველ ნაწილში (რომელიც პროფერატულ ხასიათსაც ატარებდა), ატომარულ დონეზე, განხილული პროცესების ანატომია ვერა და ვერ აღმოჩნდა საკმარისი, „თავისფალ სიტყვას“, ზოგადად – სხვა მიშისტურ-ნეოლიბერალ და ცნებებალრეული ნარატივებით გაუდენთილ თაგულს ამოფარებული კონტინგენტისთვის. ყველაფერ იმის საფარქვეშ არსებულს, რასაც ჩვენში „პროდასავლურობად“ ნათლავდნენ და საცივილიზაციო განვითარების უალტერნატივო პროექტად ასაღებდნენ გრანტებზე სპეციალიზირებული წრეები. „აგრესიულ დილეტანტთა“ ხმაურიანი გუნდისთვის, რომელიც სიტუაციიდან და კონიუქტურიდან გამომდინარე ხან ერთ იპოსტასში „გმირებად“, ხან მეორეში, „მსხვერპლად“ და მესამეშიც, „ვაჭრებად“ გვევლინება ხოლმე ბათუმლებს – წლებია. თან ხელოვნურობა იმ დოზით სდევთ ხოლმე, რომ სხვაგვარად თუ არა სიმულაკრებად ვერც აღიქვამ მათ საქმეში ჩახედული და პასუხისმგებლიანი მოქალაქე.

თუმცალა მათ მხარესაა მეინსტრიმული მედია და ნაწილობრივ ქვეყანაში გაბატონებული (ოდესლაც „პადოშას“ მიერ ინიცირებული), დოქტრინაც. რაც ხელთ აძლევთ, რომ იტივიტივონ მუდამ ეკრანებზე და ამით ასაზრდოონ კიდევ საკუთარი „ego“. ასევე იყოლიონ მცირერიცხოვანი, მაგრამ პასიონარული ხუნვეინბინების, თუ „კამსამოლას“ სულისკვეთების დარი, ფრიად ვიწრო დიაპაზონის მრევლიც. დიდწილად სამ-ორ კვირიანი ტრენინგების გავლისას შეძნილ უნარებსა თუ „გუგლვით“ მიღებულ უსისტემო, კონტექსტგამოცლილ ინფორმაციების განათლებად რომ აღიქვამს, აი ის ხალხი-თქო. უყურებს რა, ე.წ. „დამცველი“, ამ 9 მიღლიონით დაფინანსებულ აჭარის ტვ-ს, ტკბება ხიპსტერული მანერითა & უსაგნო ტიკ-ტიკის სოუსით მორთმეულ თრეშის ტრანსლაციით. სხვა ფსიქოტიპის მაყურებელი და მით უფრო „დამცველი“ აბა როდი ჰყავთ; ოფიციალური მონაცემებით რეიტინგების ფსკერზე მყოფთ, მათ „საუკეთესო“ გადაცემებსაც ონლაინ რეჟიმში 20-40 მაყურებელი თუ ეყოლება – არ იმჩნევენ. მაგალითისთვის, ფეისბუკის პირად გვერდზე ბევრად მეტი „ფოლოუერი“ მყავს ვიდრე მთელ ამ კოლექტივის შემოქმედებით ლიდეფრშიპს მაყურებელი, იმდენად უინტეროსოა მათი პროდუქტი და განა თავად არ იციან? იცის ეს ტექნიკურმა პერსონალმაც, რომლის დიდი ნაწილი მანდ გარემოებების მძევალია. პირველები იცავენ კლინანჭებით თავის სინეკურას და ყველაფერზე მიდიან სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად, რადგანაც ხედავენ აჭარის ტვ\_ში საკუთარი იდეებისა და სურვილების განსახორციელებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და იქნებ უკანასკნელ სივრცესაც რეგიონში. მათივე პლატფორმის ფორპოსტს ებდოუჭებიან, და არამც საზოგადო სიკეთეს იცავენ, როგორც ამის წარმოჩენა სურთ. კლდედ დგანან; როგორც ეს გამოცდილება, ბუნება და უნარები კარნახობთ. ტრადიციულ, „ფერადი ტექნოლოგიების“ ფორმატში მოქმედებენ მოკლედ. „ტექნარებს“ კი ეშინიათ – რამოდენიმე კადრმა ტექნიკური პერსონალიდან, რომ გაბედა და გამოიტანა სააშვაროეზე წლების მანძილზე იქ გაბატონებული წეს-ჩვეულებები და სოციალური ლიფტის მუშაობის მახინჯ ფორმებზე ისაუბრა – დააბულინგეს, სხვა უფრთხოების.

უღირთ ეს ბრძოლა და შანტაჟი, მესმის მათი ადამიანურად; კარგავენ ყველაფერს, გამოაცალე ეს მოედანი და ნულოვანი იქნება მათი წონა და ფასი საზოგადოებაში (არადა წინ არჩევნებია), მაგიტომაც. იცავენ არა საზოგადოებრივი არხის იდეას

როგორც ასეთს – არა თავისუფლებას, არა შემწყნარებლობას, არა კეთილშობილებას, ეროვნულობას, არა საგანმათლებლო-მეცნიერულ ხაზს, არა ანალიტიკას და მიუკერძოებლობას, ეს არაფერია მანდ! არამედ საკუთარი სუბკულტურის ვიზუალიზაციას და პოპულარიზაციონის – ასევე „კარმუშკას“. ჩვენ კი, უმრავლეოსობა; ვინც არასამთავრაბო სეგმენტის და „მიშიზმის“ მიღმა ვდგავართ, ვუცემდით რა მდუმარედ თუ როგორ გვახვევდნენ თავს ამ ნეოლიტერალური ნარატივებით გაუდენთილ, შავ-თეთრ გონებაში აკუმულირებულ ხეიბარ პროდუქციას; „თავისუფლების“, „ტოლერანტობის“, „პატრიოტიზმის“ სახელით, წლებია. აივსო ფიალა, ამათ კი უნდათ რომ ეს მემარცხენე ლიბერალური ბაქანალია გაგრძელდეს. „ნეტარ არიან მორწმუნენი“ – შეუძლებელია, და თუ რატომ, ამ ყველაფერზე ვისაუბრებ ქვემორე.

კანონიკური ვერსიების მიღმა.

(!) ისეთ სოციალ-ეკონომიკურ დღის წესრიგს, რეგიონის მაჯისცემას მოწყვეტილ ბადეს გვთავაზობენ, რომელიც არათუ ამხელა დაფინანსების, გამორჩეული რეგიონის მთავარ არხს არ ეკადრება. ლოკალური მასშტაბის ფინანსი ხელოსნების რომელიმე ყრუ-პროვინციელ, მაგრამ პასუხისმგებლიანი ბლოგერების წრეს შერცხვებოდა მსგავსი დაბალი ხარისხის პროდუქტის ტირაჟირება საკუთარ სოციალურ გვერდებზეც კი – არათუ მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობა. იქნებ ეპატიებოდათ კიდეც საკუთარი ხედვებისა, „იდენტობის პოლიტიკის“, მებრძოლი ანტიკლერიკალიზმის, ვაშა-პატრიოტიზმის ტრანსლაცია და დაცვაც კი, ანგაუირებული წრეების მხრიდან – ეს რომ ნიჭიერად ეკეთებინათ. საინტერესო იქნებოდა ზემოქმედების ტექნოლოგიების სპეციალისტებისთვის მაინც; როგორც ნეგატიური ნიმუში იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ტელევიზია. სანახაობრივადაც ეფექტური რომ ყოფილიყო, გაჩუმდებოდი-თქო, ესთეტიკური შემადგენლის ხათრით წაუყრუვებდი მათ ეთერში ეთიკის არქონას, როგორც ამას მაგალითისათვის „ტვ-პირველი“, „რუსთავი“, „ფორმულა“ თუ „მთავარი“-ს შემთხვევაში აკეთებ. ისინიც ხომ უტიფრად, მაგრამ უდავოდ საქმის ცოდნითა და ნიჭით მოქმედებენ; ვიზუალი მაღალ დონეზე აქვთ, არ მოგწონს, გადართე. მათ შემთხვევაში მეტს არც მოითხოვ და კერძოა, თანაც დემოკრატიაა. არ ღიზიანდები – სწავლობ, მოწინააღმდეგის აზრთა წყობაში შედიხარ და პრევენციას უკეთებ მათ გეგმებს, ჭკვიანი ხელისუფალი... ღირსეულ მტერიც ხომ გაძლიერებს, ითვისებ მის მეთოდებს და ხელოვნდები. მაგიტომაც-თქო პატიობ ნიჭიერებას ხშირად იმას, რასაც უნიჭობას ვერა. მერედა, quod licet Jovi, non licet bovi. ბოლო-ბოლო დააბალანსებ ან გადაფარავ მათივე მეთოდებით თუ მაან შეწუხდები მიღიარდების პატრონი. მაგრამ არა აჭარის ტვ-ს შემთხვევაში; ჭაობს დაშრობის გარეშე, ისევე როგორც სისტუმერ შეცდომას გადაფორმატირების გარეშე ვერ მოერევი. ეს მიმბაძველობა მათი, ცუდი გემოვნება, ყოველგვარ ღირებულაბას მოკლებული და ზემოხსენებული არხების უნიჭო კოპირება ხალხის ფულით, აუტანელია. კიტჩია-თქო, შესაბამისად – სახალხო ფულის უყაირათო ხარჯვა და ეს უკვე სხვა მუხლია! არადა, წლებია სრული კარტ-ბლანში აქვთ, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის მოხიბლა ვერა და ვერ მოახერხეს – გარდა რამოდენიმე ათეული არასამთავრობოსა, სამოქალაქო საზოგადოებად რომ პოზიციონირებს თავს და იცით რატომ? რადგან არაორგანული, ფესვებმოგლეჯილი, დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის აზრი ჟღერს მაგ მაუწყებლიდან. მოკლედ, ამიტომაც უცხოა ის ჩვენი მაღალი კულტურული იდეალიბის და მოთხოვნების

კუთხისთვის! აბრალებენ წარუმატებლობას სხვას; ზეწოლას, მცირე დაფინსებას, შენობის არქონას, „ოცნებას“, პუტინს, ვოლსკის, გაბაიძე-რიუვაძეს, ტრამპის ახალ მიდგომებს, პირადად ივანიშვილს აბრალებენ, ასლან ლორთქიფანიძესაც კი გაწვდნენ. ვის არა, დისკომფორტის შექმნას მათი წრის „კარმუშკისთვის“ – გარდა საკუთარი თავისა.

ესეც ჯანდაბას, მხოლოდ ამით რომ შემოფარგლულიყვნენ, კიდევ ასატანი იქნებოდა. ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად ცეცხლაძე-კაპანაძის მიერ დროს არსებულმა საკადრო პოლიტიკამ თავი მოუყარა მანდ ისეთ ხალხს, რომელიც მორალურ ნიჰილიზმს ქადაგებს და კულტული რელატივიზმითა გატაცებული. როდესაც ეს პირად სივრცეში ხდება, მათი ნება და პრობლემაა, როდესაც საზოგადოში, მით უფრო ხალხის ფულით – საზოგადოებრივი! სულისკვეთებით „გირჩის“ დარ პოლიტიკურ პარტიად აქციეს აჭარის მაუწყებელი. სწორედ რომ მსგავსი ტიპის დაჯგუფებად, რომელმაც ისევე როგორც აშშ-ში, „დემოკრატიულმა პარტიამ“ მაგალითისათვის; შეიარაღებაზე აიყვანა იდენტობის პოლიტიკა & ვაშა-პატრიოტიზმი, რომლის მეშვეობითაც საკუთარ რიგებში სხვადასხვა „ლიბერტინულ“ და არქაულ ნაცონალისტურ ნიადაგზე მდგომ პაწაწინა ჯგეფებს ერთიან პლატფორმაში მოუყარა თავი. შემდეგ კი „თავისუფლების“ დაცვის ეგიდით ოსტატურად მიმართა ტრადიციულ-კონსერვატორული პარადიგმის გამზიარებელი ხალხის წინააღმდეგ და ეს ჩემი ერის უდიდესი და ღირსეული ნაწილია. ჰერონიათ პროგრესს ემსახურებიან, საკუთარ თავს „პროგრესისტებადაც“ კი მოიხსენიებენ. განმანათლებლობის ანა-ბანაა: იყო კონსერვატორი, სულაც არ ნიშნავს მიჯაჭვულობას წარსულზე, როგორც მათ წარმოუდგენიათ მოპირისპირე ბანაკი გაუნათლებელ შავრაზმელებად. ეს ნიშნავს, იცხოვრო და იმოქმედო პრინციპებით, რომელსაც მარადიული ფასეულობა გააჩნია. სამშობლოს სიყვარული კი ქცევით, „რაციოთი“, მსახურით და არა სადლეგრძელოებითა და ისტერიული შეძახილებით ამტკიცო.

ამიტომაც, ნებსით თუ უნებლიერ – ებრძვიან მარადიულ ღირებულებებს ჩვენი „პროგრესისტები“, რაც იწვევს ნეგატიური შედეგების ჯაჭვს უკვე მთელი რეგიონის მასშტაბითაც. ეს კი თავის მხვრივ, ყველაფერ ზემოხსენებულთან ერთად აჭარის არასწორი იმიჯის ფორმირებას უწყობს ხელს. რაც ისეთი რთული, მულტიკულტურული, საზღვრისპირა & ტრადიციული რეგიონისათვის როგორიც ჩვენია, დაუშვებელია, მეტიც – საშიში! ასე და ამგვარად გადაივსებიან რა ხოლმე ამ ნეოლიბერალური იდეებით, სოროსისეული პროპაგანდისტილი კლიშეებით და ჰერონიათ, რამე ახალი ღირებულების მიცემა შეუძლიათ სამყაროსთვის; ლამის კლასობრივ სიძულვილს აფრქვევენ სხვა პლატფორმებზე მდგომი მოქალაქეების მიმართ და ტრადიციულ ფასეულობებისადმი აგდებულ მიდგომებს ამჟღავნებენ როგორც პირად სოციალური სივრცეში, ასევე საზოგადოებრივი ტელევიზიის მეშვეობით (ვისაც ეჭვი შეგაქვთ, გადეხედოს აჭარის ტელევიზიის ზოგიერთი სახის პირად სოციალურ გვერდებს და თვალნათლივ დაინახავთ, თუ რა მიდრეკილებების ხალხს აქვთ ჩაგდებული ეს უმნიშვნელოვანესი მედიაბერკუტი), რაც დაუშვებელია. არადა აჭარის ტელევიზია ჩანაფიქრში, ჩვენი რეგიონის ბიომეტრიული პასპორტია ლამის. მან არა მხოლოდ საჭირბოროტო საკითხების აქტუალიზაცია უნდა მოახდინოს, კონვენციონალური მოედნობა იტვირთოს, ობიექტური და ამომწურავი სურათი დადოს არსებული გამოწვევებისა და რეგიონალური პრობლემების კეთილსინდისიერი ინვენტარიზაცია მოახდიონოს – არამედ წარმოაჩინოს რეგიონისა

და ბათუმის საუკეთესო შვილები, გაშალოს რეგიონის ეკონომიკური და საგანმათლებლო პოტენციალი. თუ გნებავთ, კუთხის არისტოკრატია აღზარდოს კიდეც; პასუხისმგებლიანი, ოჯახის მოყვარული, ჯანმრთელი და მრავალმხრივ განათლებული მოქალაქეები. წარმოაჩინოს ჩვენი კუთხე როგორც მოწინავე საგანმათლებლო, ინდუსტრიული, ტურისტული, გამაჯანსაღებელი ცენტრი მთელი სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. არ არის ასეთი? ბიძგი მისცეს, სუნთქვა არ აცალოს მთავრობას და ბათუმის მუნიციპალიტეტს. მობილიზაცია გაუკეთოს სამოქალაქო საზოგადოებას, „იდეების ბანკი“ შექმნას ბოლო-ბოლო და გააკეთებინოს მათ ის, რაც გასაკეთებელია! ესაა საზოგადოებრივი ტელევიზიის დანიშნულება და არა აზარტული თამაშების, „პაპსასა“, „სელიბრიტის“ ტინგიცის, ქსენოფობიისა თუ არატრადიციული ურთიერთობების წყაროდ გაცნობა აჭარის სამეზებლოსთვის. მოკლედ, თუ ბევრი არაფერი სხვა, ჩემი სტატიის პირველი ნაწილით, მაგათ „მაღალ იდეალებს“ ამოფარებულ ქვენარე, ნამდვილ მოტივაციას ახეადა მაშინ ფარდა და გამოაშვარავების შემდეგ, მასე უტიფრად მაინც არ უნდა მოეხდინათ ზეწოლა ახალ მენეჯმენტზე.

კოხრეიძის მიმართ.

საერთოდ ასეა - იდეას იდეათი ამარცხებენ, ქალბატონი კაპანაძე მოგვწონდა თუ არა, „იდეა“ იყო. უფრო სწორად, პერსონიფიკაცია იმ იდეათა კრებულის, რასაც უტრირება რომ მავხდინოთ კრებსითად ნეოლიტერიზმს (ან მემარცხენე ლიბერალიზმს უწოდებენ). ეს სწავლება ისეთ „მეცნიერულ“ ფუნდამენტზე დგას როგორიცაა „იდენტობის პოლიტიკა“, „გენდერული თეორიები“, „კრიტიკული რასობრივი თეორია“, „ე.წ. „პროგრესისტობა“ and so on. მოკლედ, მწყობრ შეხედულაბათა და ფასეულობათა სისტემას წარმოადგენს. „კოლექტიური კაპანაძეა“ - ასე ვთქვათ, ეს აქსიოლოგიური სკალა და აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ოფიციალური იდეოლოგიაც. მეორე პოლუსზე არც არაფერი, არც „ტრამპისტობა“, არც „ეროვნულობა“, არც „ტრადიციულ-კონსერვატორული პარადიგმა“, არც რაიმე სურვილი ახლის დამკვიდებისა, არც ფუნდამენტური ცოდნა საგნისა თუ პრობლემატიკის და ა.შ. არაფერი, გარდა უშინაარსო საუბრებისა, ახლობლების ტელევიზიაში მოწყობის და სადლეგრმელოების თქმისა, როცა საჭიროება მოითხოვს იმას რომ ზემოხსენებულ ხედვათა ერთობლიობას, საკუთარი მწობრი სისტემა და თამამი გარღვევის იდეოლოგია დაუპირისპირო (!) ალტერნატივა.

მიამიტობა იყო თავშივე ბატონ კოხერეიძისაგან ამის მოლოდინი; „პრახადიმცების“ ჯგუფმა რა იდეოლოგიური ალტერნატივა უნდა შესთავაზოს ისეთ სწავლებას (უფრო ზუსტი რომ ვიყო ფორმულირებაში), მაგ სწავლების მიმდევრებს - რომ მოხიბლო და პროზელიტებად აქციო?.. ვერანაირი. რადგანაც ისეთი იდეოლოგიის, როგორიც მანდ წლებია გაბატონებული და რომლის ინდოქტრინიზაციაზე ერში და ბერში (რაზეც, თუნდაც პატიკო ცაავას ფენომენიც მეტყველებს) გარკვეული საერთაშორისო წრეების საუკეთესო გონი მუშაობს. წლებია ვუყურებ მაგ, მიზანმიმართულად წახალისებულ გაუმაძლრობას და სიყვითლეს, რომელიც „კურტიზანთა ბრწყინვალება და სიღარიბე“-ს ქრესტომატილიულ ფორმატში მიმდინარეობს. იმას-თქო, თუ რა იდეების პოპულარიზაციას ეწევა აჭარის ტელევიზიის არაფრის მაქნისი მენეჯმენტი,

მათზე აყოილილი, ნაწილობრივ მიმიკრირებული „სახეები“ და ვხედავ, არც სურვილი აქვთ ინტერიერის გამოსწორების, ვერც იზიარებენ პრობლემას და შეცდომებზეც არ სწავლობენ. ასევე არც გემოვნება ჰყოფნით, რომ რამე შედარებით ღირებული შექმნან ესთეთიკური კუთხით – ბოლობოლო, უბრალოდ სხვა დისკურსებისთვის გახსნან მოედანი ფორმალურად, რაც ექსტერიერს დაეტყობა ან ფერები განაახლონ. არაფერი ახალი „ახალი მენეჯმენტის“ პირობებშიც - გარდა ტოქსიკური დოტრინიდან გამოდინარე იმ „თრეშისა“ რასაც წლებია უტიფრად აწვება იქაური ბირთვი!.. იქნებ ბევრს მოვითხოვ „ხისგან რომელსაც ნაყოფის მოცემა არ შეეძლო“, იქნებ მასეცაა. შიგთავსის ტრანსფორმაციაზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი არსებული ინტელექტუალური რესურსის პირობებში. მაშ ასე, შეპირებისამებრ თეგების სახით წინა ნაწილების თაურარსი, თუ რაზე ვისაუბრე იქ:

ახალი მენეჯმენტი ინტუიტიურად მოქმედებს, რაც დაუშვებელია კრიზისული მენეჯმენტის პირობებში / უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო / ახალ პროექტებზე და „სახეებზე“ კონკურსი გამოცხადდეს / არაა ტელევიზიაში არც სოციალური ბლოკი და თუა „თეთრი ხმაურის“ წევრები ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე გვესაუბრებიან, ანდა ლგბტ აქტივისტები ქართველების სიბრძელეზე და „რუსი ოლიგარქის ხუშტურებზე“ / არც პირდაპირი ეთერია საკმარისად და თუა, ორკესტრირებული შეტევა მიდის სახელმწიფო ინსტიტუტებზე / მეცნიერების და კულტურის პაპულარიზაციის ნაცვლად, მხოლოდ ჰედონისტური ფასეულობების იმპლემენტაციის მცდელობებია / რეგიონალურმა მაუწყებელმა საუნივერსიტეტო მაუწყებლის ფუნქციაც უნდა შეითავსოს, რაც საერთოდ ფანტასტიკის სფეროდანაა იმ პირობებში როცა მენეჯმენტის თვალსაწიერი რუხი მასის მისწრაფებებს ვერ სცდება, თუმცალა გაწაფულია „ჩალიჩმეისტერობაში“ / არაა გემოვნებიანი და შემეცნებითი გასართობი (ე.წ. ინფორმიტმენტი), საბავშვო გადაცემები და საკუთარი წარმოების სერიალებიც, ის კი რაც გამოჩნდა ახლახანს, ნაგავია პირდაპირი მნიშვნელობით / საკუთარიდან, არის მხოლოდ მდარე, უგემოვნო, ბანალური გადაცემები და ისიც 10 % არ აღემატება, არადა კანონის მოთხოვნაა – 25 % / ადგილობრივი ამბები მხოლოდ ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, უკეთესი გახადონ ადგილობრივების ცხოვრება, გამოაშვარავონ სახელისუფლებო შტოების გადაცდომები და მოხდეს ეს უნდა სპეციალური რეპორტაჟებითა თუ სოციალური დანიშნულების სერიალებით / საერთოდ არაა ადგილობრივი წარმოების ანიმაციური ფილმები – არადა აგრესიული მასობრივი კულტურისგანაც უნდა დავიცვათ ჩვენი ბავშვები / ტიხრების თუ სტუდიების ესთეტიკა შუა საუკუნეობრივი დიზაინისაა / სულისკვეთებით „გირჩის“ დარ პოლიტიკურ პარტიად აქციეს აჭარის ტელევიზია / საკმარისია გადაიხედოს აჭარის ტელევიზიის ზოგიერთი „სახის“ პირად სოციალურ გვერდებზე და მკიტხველი თვალნათლივ დაინახავს, თუ რა მიდრეკილებების ხალხს აქვთ ჩაგდებული ეს უმნიშვნელოვანების მედიაბერკეტი. ერთის მხრივ, (პირობითად) ახალი მენეჯმენტისგან მივიღეთ „იმპოტენცია“, მეორე მხრივ დამხდური „სახეები“ (მემარცხენე ლიბერალიზმის ადეპტები) გნიას აგრძელებენ - რაშიც ჩვენი გამაღლებული სახელმწიფო 10 000 000\_ს იხდის, რაც დაუშვებელია „პი უმოლчанию“!.. მოკლედ, ესაა წინა სამი ნაწილის კვინტენსენცია.

ახლა კი მთავარი: წინარე ფაქტებს და ფაქტუალურ მოსაზრებებს გავყავართ კითხვაზე - თუ რატომ აკეთებენ ამას: ნებსით თუ უნებლიერ მოსდით ეს? ნუთუ ვერ არიან სათანადოდ აღზრდილნი, იქნებ სამშობლო არ უყვართ, იქნებ გარდა ბიოლოგიური მოთხოვნილების არ ჰვონიათ რომ ადამიანს რამე შეიძლება უფრო მაღალი ამოძრავებდეს ან სულაც დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის ხალხია მანდ სათავეებში, ანდა მათი თვალსაწიერი შემოიფარგლება მხოლოდ მიცემ-აღებითა თუ ქვენა გრძნობებისა და მანკიერებების ტირაჟირების სურვილით, რაც მათივე მერკანტილური & მდაბიოს ბუნებიდან გამომდინარეობს? რა თქმა უნდა არა! საკითხი ბევრად რთული და პარადოქსულად მარტივიცა, ის რომ ჩვეულებრივი პრიმიტიული რეფლექსით ავხსნათ. ბევრი „თუა“ მანდ, ფრაქტალივითა ეს თქმა - მოჩვენებითად მრავალი, ერთი წყაროდან გამომდინარეა. ყველაფერი ეს ეფუძნება არც მეტი არც ნაკლები, რეალობის მათეულ ინტერპრეტაციას, რომელიც მათივე მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. მსოფლმეხდველობა კი როგორც ავღნიშნე უკვე ზემორე (ზოგადად და უნივერსალურთან მიმართებაში), აქაც - მათ გარშემო გაბატონებული კონცეფციებიდან ყალიბდება. რომლის ტირაჟირება-გაბატონებაში ლომის წილი თავადვე, ან მათ კოლეგებს ცენტრალური არხებიდან მიუძვით, რომლებზეც ამ ფინანს იმიტატორებს სწორება აქვთ. ასევე ნეოლიბერალურ პლატფორმასთან აფილირებულ, ყველა ზოგადქართულ ძალასთან მიმართებაში. ანუ სათავეშიც, ცენტრალურ არხებზეც და ე.წ. „საექსპერტო წრეებში“ იგივე პრობლემა დგას-თქო, თუმცადა იქ ბევრად ნიჭიერად ახერხებენ ანალოგიური ნაგავის ტრანსლაციას, ლამაზად ფუთავენ მაინც... რა აქ პირველადი და მეორადი? ამის გარკვევაში ეშმაკი მოიმტვრევს ფეხს, მაგრამ ვეცდები მომდევნო ეპიზოდში, რადგანაც ყველაფერს, თავისი სახელი უნდა დაერქვას ბოლო-ბოლო! ასე სჭირდება ქვეყანას და აჭარას განსაკუთრებით.

გაგრძელება იქნება

პუბლიცისტი დავით ჩხარტიშვილი

**დავით ჩხარტიშვილი / ნაწილი V: „აჭარის ტელევიზია“ - ტრაგიკული და უმომავლოა საზოგადოება რომელიც მართულია ასეთი სახეებითა და სურათ-ხატებით!**

- 1) წინამდებარე ეპიზოდში, პრობლემას „სთრიმის“ ფორმატში და უნივერსალურ ჭრილში განვიხილავ. მოკლედ, რეზუმეს გარეშე - დასკვნებს და მოქმედების გეგმის დასახვას, აჭარის მთავრობას/უმაღლეს საბჭოს, დაინტერესებულ მკითხველსა და თავად „აჭარის ტელევიზიის“, განსაკუთრებით კი ტექნიკურ თანამშრომლებს მივანდობ. იმიტომ, რომ სწორედ მაგათ შესაძლებლობებში დევს და გამომდინარეობს „აჭარის ტელევიზიის“ ჯერ რებრენდინგის, მერე გაჯანსაღების, შემდეგ ტრანსფორმაციისა და საბოლოო მეტამორფოზის პრობლემაც, ასევე გასაღებიც და პერსპექტივა. არავინ გააკეთებს მათ მაგიერ, მათივე ჯერ გაფუჭებულ, მერედა გამოსასწორებელ საქმეს, რაგინდ უნიკალური თეორილი ბაზა შეუქმნას სხვამ ცვლილებებისათვის.
- (!) ვისაც კი მეტი დეტალიზირება აინტერესებს; კერძოდ თუ რა, შემოქმედებისთვის პროფესიულაბამო პერსონაჟებს უპყრია „აჭარის ტვ“-ში სადავეები, რას წარმოაგდენს ბორდი, ასევე იქ გაბატონებული დისკურსის დეკონსტრუქცია და კორესპონდენტებისა თუ რედაქტორების ოინების ქრონიკები, ანუ თემის ჩაშლა & პოსტმოდერნიზმის საუკეთსო ტრადიციებში თემაში „ჩაძირვა“ სურს, იხ. I, II, III, IV ნაწილები.
- 2) თუ გინდათ ააშენოთ სახლმწიფო, საიდანაც ხალხი წასვლას მხოლოდ შვებულების სეზონზე მოითხოვს, ააშენოთ ქვეყანა, სადაც მომავლის შიში არ ექნებათ, გადადგით ეს ორი ნაბიჯი: ა) გაუთანაბრეთ კორუფცია სამშობლოს ღალატს, კორუფციონერები შეაჩვენეთ მეშვიდე თაობამდე. ბ) სამხედროს, მასწავლებლის და ექიმის პროფესიები, ყველაზე მაღალანაზღაურებად და საპატივცემულო ხელობად აქციეთ. როდესაც ამას განახორციელებთ, ჩათვალეთ რომ საწადებელს მიღწეულია. ეს ისრაელის საზოგადოებრივი ტელევიზიით ნათქვანი, ლეგენდარული გოლდა მეირის სიტყვებია. სწორედ რომ ასეთ პრიორტეტებს სახავს ტანდემში, სახელმწიფო მოღვაწეები და პასუხიმგებლიანი, მით უფრო საზოგადოებრივი ტელევიზიები წარჩინებულ ქვეყნებში. და არამც, სელიბრითების ტინგიცობას, ხაზინის ქურდების გნიასს, ფუტურისტული პროექტების პროვაიდერობასა თუ გემბლინგისა და ჰიპსტერული ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწევს. საზოგადოებრივი ტელევიზია და სახელმწიფო, ერთი ორგანიზმია ჯანმრთელ ქვეყნებში-თქო. ჩვენთან კი, პოლიტიკანების ინკუბატორი & ენჯენ-სექტორის რუპორი, ნაგავი პროდუქტისა, და ნეოლიბერალური იდეების ინსტალაციის წყარო. ლამის, ერის ფიზიკური და სულიერი გადაშენების კატალიზატორია გამხდარი ტელევიზიები სოციალურად უპასუხისმგებლო რედაქტორების და ანგაუირებულ კორესპონდენტ-ჟურნალისტების ხელში. ჩვენგან განსხვავებით; საზოგადოებრივ ტელევიზიებს იქ, შეთავსებული აქვს საგანმანათლებლო, კულტუროლოგიული და აღმზრდელობითი ფუნქციები. რადგანაც, მოქალაქესა და შთამომავლობაზე ორიენტირებული სახელმწიფოს პრიორიტეტია - განათლებული, პასუხისმგებლიანი და კულტურული ხალხის აღზრდა და არამც ბრბოთი მანიპულირება, ქვენარე ინსტინქტების კულტივირება, თუ ნეოლიბერალური იდეოლოგიის ინდოქტრინაცია.

- 3) თუმცადა ისიც ფაქტია, რომ იქაც, ერთ ასეთ პასუხისმგებლიან ტელევიზიაზე მოდის ათი საპირსპირო, კერძო და ვიწროპარტიული ორიენტაციის, „ყვითელი“ მაუწყებელი; აი ისინი, ვინც ამკვიდრებს „იდენტობის პოლიტიკას“, „გენდერულ თეორიებს“, „აგრესიულ ფემინიზმს“, „ჩაილდფრიდობას“ and so on. ჰედონიზმს, გლამურს და ზედაპიროლობასაც ერში, ასევე კომკავშირული შემართებით ებრძვის ბერს. ნერგავს რა, ისეთ ტრენდულ, მაგრამ ვიწროჯგუფურ და აღვირახსნილ მიმდინარეობას, როგორიცაა მემარცხენე ლიბერალიზმი. იდეოლოგიას, რომელიც ანგრევს ოჯახებს, დედებს მეძავებად აქცევს, ჯარისკაცებს „გირჩის“ წევრებად, გლეხს „სერვერებად“ უცხოეთში და ზოგადად ყრვნის და აპირისპირებს ერთმანეთთან თაობებს. ხელს უწყობს მოტინგიცე და კურტიზანი ელემენტების მომრავლებას ჩვენს, ოდითგანვე დარბაისელ, ულამაზესი ტრადიციებით გამორჩეულ ერში და ეს ყველაფერი ღრმა, მრავალწახნაგოვანი, კეთილშობილი, უნივერსალურ ფასეოლობებზე დამყნობილი ქართული მსოფლმხედველობის ნაცვლად. ტრაგიკული და უმომავლოა ის საზოგადოება რომელიც მართულია ასეთი სატელივიზიო სახეებითა და სურათ-ხატებით!
- 4) მესმის პრობლემის სირთულეც, ლამის ავგიას თავლასთან გვაქვს საქმე, თუნდაც რეგიონალურ, „აჭარის ტელევიზიის“ დონეზე, არათუ ზოგადქართული მასშტაბით; სადაც იმდენი წყალქვეშა დინებაა, რომ კვანტური სამყაროს ტერმინოლოგითაც ვერ აღწერ ყველა იმ მოვლენასა თუ ნიუანსს, რომელიც ურთიერთვავშირშია და აპირობებს იმ სავალოლო სურათს, რაც ქართულ მეინსტრიმულ მედიაველზე გვხდება, მერე კი ირიბად ჩვენს კოორდინატთა სისტემას და ყოფასაც განსაზღვრავს. გაცნობიერებული მაქვს ზედმიწევნით ისიც, თუ რა ტიტანური სამუშაოა ჩასატატერებელი იმისათვის, რომ მივუახლოვდეთ ზემორე აღწერილ სტადარტსაც; კერძოდ, წარჩინებული ქვეყნების მიერ, საზოგადოებრივი ტელევიზიებით ტრანსლირებულ კონტენტის ხარისის, კულტოროლოგიური და „ინფორმაციური“ თვალსაზრით. ისიც, თუ რამდენ შეუგნბელ და პასუხისმგებელ თანამდებობაზე შემთვევით მოხვედრილ პოლიტიკანს, უნდა დაუღეჭო და ჩაუდო გონში ეს „სოციალური ინჟინერიის“ ანა-ბანა. იმისთვის, რომ თუნდაც დაფიქრდეს შედეგებზე, არათუ იმოქმოდოს გაფუჭებულის აღმოსფერელად. გაიაზროს რა სისხლხორცეულად, რათა შემდგომში მაინც, აღარ დააკომპლექტოს, თუნდაც „აჭარის ტელევიზიის“ ბორდი შემთხვევითი და უპასუხისნებლო, ჯიბეზე და პატივმოყვარეობაზე ორიენტირებული „კონიუკტურშიკებით“.
- 5) „პოლიშინელის საიდუმლოა“ - დამყაყებულ და გადაბერილ კოლექტივშიც ბევრს აწყობს ასეთი დაჭაობებული ვითარება; ამიტომაცაა, რომ ყველანაირი მეთოდით, არსებული სტატუს-ქვოს შესანარჩუნებლადაც იბრძოლებს კოლექტივის ძველი და ახალი წევრების პასიონარული ნაწილი - არათუ ამ ვითარებაში და კონფიგურაციით, არამედ სამომავლოდაც, ნებისმიერი განლაგებისას. ეს იციან ზემდგომებმაც, პასუხისმგებლობის აღებას კი საგნის სიღრმისეული ცოდნის გარდა, სხვა მრავალი სიქველე სჭირდება, თავსაც ვგონებ მამიტომაც ზედმეტად არ იტკივებენ. ასე და ამგვარად, თვითდინებაზეა მიშვებული პროცესი რეგიონის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტში.

- 6) იდილიაა, რომელიც ირღვევა ხოლმე, თუ გადაცდომები ზედმეტად თვალშისაცემი გახდა, როგორც ეს მაგალითად ქალბატონი კაპანაძის შემთხვევაში მოხდა - აღშფოთებული აჭარის მოსახლეობა და ინტელიგენცია, ტრადიციული კონფესიები, თავად ივანიშვილი... და მაინც, არსებითად არაფერი შეცვლილა; ანგაუირებული ენჯეო-კადრი ჩაანაცვლა უუნარო „ჩალიჩმეისტერმა“, გაურკვეველი ბეგრაუნდით. შედეგად, იქაურობა მიშვებულია, ქაოსია, გაურბიან პასუხისმგებლობას, დაბალი დისციპლინა, დაჯგუფებები ერთმანეთს ძირავს და ა.შ., ცეცხლაძე-კაპანაძის დროინდელი დისკურსი კი, თუგინდ ნაკლები ინტენსივობითა და ფანატიზმით, მაგარამ ძალაშია. სანამ მაგ სადნობ ქვაბში სხვადასხვა ინგრიდიენტია, არის შანსი სძლიოს ჯანსაღმა მხარემ, არადა სრული გადაფორმატირება იქნება საჭირო, რაც ბევრად მტკივნეული პროცესია. საგანგაშო და დაუშვებელი ვითარებაა, რაც რეაგირებას მოითხოვს! მყისიერს - მანამ ჯერ კიდევ ამ ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია. ოღონდ არა ფორმალუარდ, როგორც ეს აქამდე მომხდარა, არამედ ძველი შეცდომების კეთილსინდისიერი ინვენტარიზაციის შემდეგ და კონცეპტუალურ დონეზე ახალი მიდგომით.
- 7) აქვე მინდა ხაზგასმით ავღნიშნო; „აჭარის ტელევზიაში“, როგორც ნებისმიერ სხვა მაუწყებელში, მუშაობს უამრავი ღირსეული, გემოვნებიანი და მცოდნე ადამიანი. მაგრამ მათ არ ეძლევათ ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლინების შანსიც-კი ზემორე აღწერილი გარემოებებისა და დისკურსის ტოტალური კონტროლის, ძველი პასინარული დაჯგუფების და უუნარო ახალი მენეჯმენტის გამო. ესეთები, საკმაო რაოდენობით, უფრო ტექნიკურ პერსონალშია, მაგრამ ვერფერს უპირისპირებენ ამ ფორმალურად შემოქმედებით, ნეოლიბერალიზმით ინდოქტრინირებულ და ყველაფერზე წამსვლელ, ასევე მკადრებელ რუს მასას. მათი ცალკეული აქტივობები კი (და ის სინათლე რომელსაც ასხივებენ ხოლმე ცალკეული გადაცემების თუ გამოსვლების მეშვეობით მხოლოდ ციმციმია), ზღვაში წვეთია, იმ საჭირო ძალისხმევასთან შედარებით, რასაც შეუძლია ეს ტელევიზია ხარისხობრივად სხვა დონეზე აიყვანოს. მოჯადოებული წრეა, ძველი და ახალი, ნეპოტიზმის შედეგად მიღებული თანამშრომლები, უპასუხსმგებლო, ჰარი-ჰარალეზე შერჩეული ბორდი, ვირეშმაკობით გამორჩეული კოხრეიძე და არავინ მომკითხავი ზემდგომ უწყებებში, თუ რაში იხარჯება, ამ გაძვალტყავებული ქვეყნისთვის ასტრონომიული თანხა - 10 000 000.

P.S. ტაქტიკაც მანდ წლებია უცვლელი; ჯერ კბილს უსინჯვენ ერთმანეთს, მერე კი სიმბიოზში შედიან და ხალხის თანხების ხვრას ერთად განაგრძობენ. ჰმ, ამბობენ „კადრები ყველაფერს წყვტსო“, როდი - სინამდვილეში წყვეტს ის, ვინც ასეთი კადრებს არჩევს!..

## დავით ჩხარტიშვილი / ნაწილი VI: აჭარის ტელევიზია სცილასა და ქარიბდას შორის

ახლახანს, 34 წლისთავი აღნიშნა აჭარის ტელევიზიამ, რის მერეც გადავწყვიტე მეექვსე, ეპიზოდის დაწერა. არადა ფეხს ვითრევდი; ცოტა არ იყოს დამღალა ამ მარგალიტების ფრქვევამ ტელევიზიის მიმართულებით, იმ დროს, როდესაც ბევრად საინტერესო მოვლენები ვითარდება სხვა სფეროებში. დაველოდები-მეთქი, ამ უნიჭო უზურპატორების მიერ მაგ ბედოვლათ უწყებაში მანდატის ვადის ამოწურვას და მერე ვიტყვი საბოლოო სიტყვას-თქო. პარალელურად კი, უკვე ამ ხედვების კრებულით მორიგ კონკურსში მივიღებ მონაწილებას. იქნებ იმ მომენტისათვის მაინც, შეიცვალოს გაბატონებული მიდგომები და დირექტორი გამოცდილების, იდეების ორიგინალურობისა და გენერირერების უნარის, ასევე დამსახურების მიხედვით აირჩიონ და არამც, პიროვნული თვისებების ნიველირების, ნეპოტიზმის, თამადობის, მლიქვნელობისა თუ გაბატონებული კონცეფციების მზუთხაობის გამო.

ვეღარ მოვითმინე! რადგანაც ყველა მოლოდინს გადაამღაშეს; ის ანგაუირებული, გაუნათლებელი ქალბატონი კაპანაძეც კი დაჩრდილეს თავისი შეზღუდულობითა და უტიფრობით.

სიტყვაზე, როდესაც პირველად, „ბათუმური პლატფორმის“ ფორმატით დავსვი კაპანაძის გადადგომის საკითხი, რასაც უმაღლეს საბჭოში უმაღვე განხილვა მოჰყვა, შემდეგ კი აჭარის ინტელიგენციისა და ივანიშვილის გამოხმაურებაც კი და ა.შ., როგორ ვიფიქრებდი, რომ მთელი ამ მრავალსაფეხურიანი აქტივობების შედეგად, ცუდზე უარეს მივიღებდით. ამაზრზენი, ანტიქართული იდეოლოგის ნაცვლად უუანარო, იდეურად გამოშიგნულ, მედუქნეს მსოფლმხედველობის მქონე, ახალ დირექტორს და მიდი-მოდი, მის ფავორიტ ფერმქთალ წრეს.

რომ ვიღაც რუხი, ბათუმისთვის უცხო, ანგარებიანი ავანტიურისტი, დღისით-მზისით, გაიძვერობით დაითრევდა, შემდეგ კი თავის სინეკურად აქცევდა აჭარის ტელევიზიას. ამ, საკვანძო რეგიონის უმნიშვნელოვანეს მედიაბერკვეტს; რომელიც, პირადად მე საგანმათლებლო და სოციალური საინჟინრო საქმიანობისთვის მჭირდებოდა და არა მასავით, საპატიო პენსიის მისაღებად.

გეგმა შემდეგი მქონდა – ტელევიზიის, მხოლოდ დეიდიოლოგიზაცია უნდა მომხდარიყო და არამც დაბლაგვება. მივიღეთ კი რა? განათლებული, მოქალაქეობრივად მოაზროვნე საზოგადოებისთვის მედიაპლატფორმის აშენების ნაცვლად, მაუწყებლის, „სოციალური ინჟინერიისთვის“ უვარვის იარაღად გარდაქმნა. არადა, კრეატიული გუნდიც შერჩეული მჰყავდა მაქაური სტაფიდან და კომპეტენტური ხალხი გარედანაც. ასევე დაბალანსიეროვა, იარაღ 1-1.

საზოგადოებრივი საბჭოც შერჩეული და გაუღერებული კიდეც კონკურსზე.  
სახელდობრ, თუ ვის და რა ფორმით უნდა შეესრულა შეკავების და გაწონასწორების  
ფუნქცია „აჭარის ტელევიზიაში“. ერთგვარი ფორუმი, სარედაქციო საბჭოს  
ელემენტებით, რომელიც არავის მისცემდა მანდ საშუალებას, მკვეთრად  
გადახრილიყო რომელიმე პარტიულ, კონფესიურ თუ ფორმაციის მხარეს.

(!) ამოსავალი, მთელ ამ ჩემს მიდგომებში იყო ქართული სახელმწიფო და მისი  
გრძელვადიანი ინტერესები, ასევე ჯანსაღი, თავისუფლად და კრიტიკულად  
მოაზროვნე თაობის აღზრდა და ა.შ. კოხრეიძეს საქმიანობის შედეგად კი, კასტრირება  
მოხდა ტელევიზიის; რაც ერთის მხრივ გამოიხატება „საინფორმაციოს“  
დასაჭურისებაში, მეორეს მხრივ კი, ე.წ. შემოქმედებით სეგმენტში (კაპანაძე-  
ცეცხლაძის მემკვიდრეობაში) მემერცხენე ლიბერალური დისკურსის გაღვივებაში,  
ჩაქრობის ნაცვლად. სიტყვაზე, ძაან უნიჭო და პროფშეუსაბამო უნდა იყო, რომ საქმე  
მაქამდე მიიყვანო; თეორიაში, საზოგადოებრივი სიკეთების დასამკვიდრებლად  
უბადლო ორლესულის ნაცვლად (რასაც „აჭარის ტელევიზია“ წარმოადგენს  
თეორიაში), რეგიონში გაბატონებული ნეპოტიზმის, ხაზინის ქურდობის ფაქტებისა  
და ავკაცობის გამოსავლენად, მიიღო „ბრეჟნევის საინფორმაციო“ & შემოქმედებით  
ნაწილში, „იდენტობის პოლიტიკის“ მიმდევრებითა & წერა-კითხვის უცოდინარი,  
ენჯეო-სელიბრითების მოტინგიცე ტუსოვკა. საერთო ჯამში, მთელი ამ  
კოხრეიძისეული კვაზირეფორმის შედეგად, ნაგავი მივიღეთ-თქო, რომელშიც  
ისედაც გაძვალტყავებული სახელმწიფო 10 000 000 იხდის.

მეგობრებო (!) რომ სწორად უმკურნალო, სწორი დიაგნოზი უნდა დასვა და არც  
ქირურგიულ ჩარევას მოერიდო თუ მეტასტაზები სიღმეებშია გასული. ჩემი  
პროგრამის ესენციაც ასეთი იყო მაშინ, და არათუ აკმაყოფილებდა დღის წესრიგს,  
არამედ თავად ახდენდა „აჯენდის“ ფორმირებას. ყველაზე უკეთ, ეს თუნდაც  
მუღავნდებოდა იმაში, თუ როგორ, ერთი-მეორეს მიყოლებით კონკურსანტები  
ამახვილებდნენ ყურადღებას სწორედ რომ ის საკითხებზე, რომლებიც მე წამოვწიე  
კონკურსის მსვლელებისას. ანდა სულაც ჩემს გადაფარვას ცდილობდნენ მონათესავე  
ნეოლიბერალური მედიაპლატფორმების მეშვეობით. არ შემიძლია არ ავღნიშნო, რომ  
აქ ყველამზე მეტად მაცინა და თავი გამოიჩინა, აჭარის ერთ-ერთმა ოდიოზურმა  
კორესპონდენტმა. აი იმ ეგზალტირებულმა ქალბატონმა, ამას წინათ, ვაქხანკას დარი  
ყიუინით რომ მეუფე დიმიტრის უვარდებოდა რეზიდენციაში და ყველაფერში,  
დაწყებული ეკლესიით და დამთავრებული ქართული ტრადიციების ტირაჟირებით,  
რომ პუტინის კვალი ელანდება!.. ჩემს რეპლიკაზე (კონკურსის მსვლელობისას), რომ  
ტელევიზია მხოლოდ ჟურნალისტიკა არ არის და ცოდნაა სოციოლოგიის,  
ზემოქმედების ტექნოლოგიების, ისტორიის, კულტუროლოგიისა და  
ეთნოფსიქოლოგიის..., მან მყისვე გამოაცხო სიუჟეტი, სადაც მე თურმე ვამბობ, რომ  
„ტელევიზია ჟურნალისტიკა არ არის“\_ო. და განა, მხოლოდ ეს ერთი ეპიზოდი იყო  
ასეთი თავხედური, საუკეთესო ენჯეოშნიკურ სტილში ბულინგის მაგალითთაგან?  
როდი \_ არსით უამრავი მსგავსი, დაწყებული ჟურნალისტის მანტიაში, მილიტარ-  
სტილში გადაწყვეტილი ნაცაქტივის ვაშაპატრიოტული ბოდვებიდან,  
დამთავრებული „იდენტობის პოლიტიკის“ აპოლოგეტებით, ჩემს მიმართ ე.წ.

„უარყოფის კულტურის“ ინსტრუმენტების ამოქმედებით. მაგრამ საერთო ჯამში, კნავილის მეტი არაფერი გამოსდიოდათ, რადგანაც „ჰაიპსა“ და ეპიგონობას არ უწერია დიდი სიცოცხლე, მით უფრო მართალი სიტყვის წინააღმდეგ. მოკლედ, საბავშვო ბალი; არადა თავიდან, უმეტესობა მხოლოდ ახალ შენობას და დაფინანსების კნავილის მეტი არაფერი გამოსდიოდათ, რადგანაც „ჰაიპსა“ და ეპიგონობას არ უწერია დიდი სიცოცხლე, მით უფრო მართალი სიტყვის წინააღმდეგ. მოკლედ, გაზრდას ითხოვდა, ასევე დაზეპირებული „კანონს მაუწყებლის შესახებ“ თხრობით შემოიფარგლებოდა. განსაკუთრებით ისინი, ვისაც მიკროფონით სირბილი, უადგილო „სტენდ-აპეპი“, სიუჟეტურ-ვიზუალური დრამატურგიის ნაცვლად და ვიდეორედაქტორში მუშაობა, ჟურნალისტიკა ჰქონია.

ამასთან ერთად დავსძენდი, ჩემს მიერ პედალირებულ საკითხთა აქტუალობაზე მოწმობს ისიც, თუ როგორ აიტაცა ზოგადქართულმა თავისფალმა პრესამ ჩემი კონცეპტები.

(?) არადა რა მინდოდა, ის რაც ქართულ სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებში არ შედის; ვუღეჭავდი და ვაუღერებებდი კიდეც მაშინც შემდეგ მოთხოვნებს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აჭარის ტელევიზია უკვე დღეს, ტრასფორმირებული იქნებოდა დინამიურ, „დრაივით“ სავსე, საგანმათლებლო-გასართობ და რაც მთავარია კონცეპტუალურ მაუწყებლად. მაშინ ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ: აჭარის ტელევიზია დასწეულებულია მემარცხენე ლიბერალიზმით, ისმის ქსენოფობიური შეძაბილები, მიდის იერიში ეკლესიაზე, ხდება რეგიონის ტრადიციულ-კონსერვატორული მოსახლეობის ცხოვრების წესის დისკრედიტაცია. ნეოლიბერალიზმის უტიფარი პროპაგანდა გახდა კაპანაძის გუნდის ხელწერა. აჭარის ტელევიზია მაგ ხალხის ხელში იქცა ცენტრალური „მიშისტური“ ტელევიზიების ფინანსირების მიმიტატორად. მოტინგიცე ჰიპსტერებისა და სელიბრითების ბუდედ, სადაც ჰიპსტერების ფასეულობების, გემბლინგისა და ნარკოტიკების პოპულარიზაცია მიდის!..

ფაქტია, ეს მოწოდება შესმენილ იქნა იმ მომენტისთვის. კაპანაძე გადააყენეს. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე ასეთ ვითარებებში, უმაღვე გამოჩნდა „მარადიორების“ კონტიგენტი, ვისაც მოუნდა ტელევიზიის ლეშის (სხვაგვარად ვერ ვუწოდებ კაპანაძის მემკვიდრეობას) ხელში ჩაგდება. და მე, არათუ ხმის ამომღები არ ვიყავი, რომ დამენახა საჭირო ცვლილებები - არამედ თავიდან, კიდეც ხელი შევუწყვე, რის გამოც ბოდიშს ვუხდი აჭარის ტელევიზიის კოლექტივის ჯანსაღ იმ ნაწილს, რომლებიც ამ ხორცმეტების, სცილასა და ქარიბდას შორის მოხვედრილნი (კაპანაძე-ცეცხლაძის, ძველი და ახალი დაჯგუფებებს შორის), იჭყლიტებიან და მძევლის როლში, აწ უკვე მერამდენე წელი იმყოფებიან...

## დავით ჩხარტიშვილი: VII ნაწილი / აჭარის ტელევიზიის შესახებ და არა მხოლოდ!..

„კოხერეიძემ ამოწურა ყველა თავისი შესაძლებლობა და მორალური უფლებაც აღარ აქვს ერქვეს „აჭარის ტელევიზიის“ დირექტორი“.

მე-7 ეპიზოდის რადიკალიზაციისთვის, დავუბრუნდები მომენტს, საიდანაც მეექვსე ნაწილი დავიწყე და არ დავასრულე გარკვეული მოსაზრებების გამო - 34 წლისთავის აღნიშვნას! რადგანაც მეგონა, თუ სტრუქტურულ ტრანსფორმაციას არა, ფასადურ ცვლილებებს მაინც წამოიწყებდნენ წინამდებარე ციკლის შემხედვარე. ღია საუბარს პრობლემებზე, გადაფასებას, იმიტაციას მაინც, და ა.შ. როდი - სიტუაცია „აჭარის ტელევიზიაში“, გაუმჯობესების ნაცვლად, გართულდა; სევდიანი ღიმილით ვუყურებდი მაშინ, ამ უტიფრობითა და უნიჭობით გაუდენთილ „ნადიმს შავი ჭირის დროს“. თუ როგორი სახარებისეული სიხარულით ზეიმობდა რეიტინგების ბოლოში მოჩანჩალე, კულტოროლოგიული შემადგენლიდან დაცლილი, მდარე გემოვნების და იდეა გამოშიგნული უწყების თანამშრომლების ნაწილი მორიგი სირცხვილის წელს. თუ როგორ იღებდა საგანგებოდ შერჩეული მოქალაქეებისგან მილოცვებს, ისეთ პათეტიკურ სტილში, რომ მსოფლიოს წარჩინებულ ტელეკომპანიებსაც კი შეშურდებოდა მსგავსი ფანკლუბის არსებობა. განსაკუთრებული თვითტკბობით ამ უტიფრობის აღლუში ხელფასმომატებული, მუდმივ ნეტარყუჩბობაში ჩაძირული ბორდის წევრები გამოირჩეოდნენ და რა თქმა უნდა, ახალი დირექტორის ფავორიტები. იმდენად რუხი და არაფრისმთქმელი სახეებით, რომ ამათ ფონზე, წინა დირექტორის რჩეულთა წრე, კაშაშა თანავარსკვლავედათ გამოიყურებოდა.

მაუწყებლის ძველმა ელიტამ, აბა არც კი შეიმჩნია ეს იუბილე, ან სულაც მორიგი ფრაზებით შემოიფარგლა სოციალურ ქსელში... მესმის კიდეც მათი ირონიის - გარდა იმისა რომ, კაპანაძის შერჩეული და აღზევებულნი, ბევრად წარჩინებულად მოსჩანდნენ ამ უსახური კოხერეიძისეული მასის ფონზე, ტელევიზიის სიღრმეებში გადანაცვლებულნი, ისინი დღეს ბევრად უკეთ აკეთებენ თავის ძირგამომთხრელ, ანტიქართულ საქმეს ვიდრე მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული სადავეებიც ეპყროთ.

იურიდიულად კი მოხდა მათი ჩანაცვლება ტოპ-მენეჯმენტის დონეზე, მაგრამ რეალური ხელისუფლება, ანუ ის რაც აწარმოებს სატელევიზიო პროდუქტს და სულისკვეთებას სინამდვილეში, მაინც მაგათ ხელში დარჩა. ბატონი კოხერეიძე, მისი ამალითურთ, ინგლისის დედოფლის რანგშია ჩაყენებული-მეთქი. მხოლოდ ფორმალურადღა უძღვება უწყებას - უუნარობისა და ფრიად ვიწრო, „მედუქნის“ დონის თვალსაწიერის გამო. არადა დასაწყისში ხელთ ჰქონდა, ყველა შანსი და ფუნდამენტურ ცვლილებებზე მანდატიც. გამოდის, რომ ბევრად უკეთეს პოზიციაზე აღმოჩნდა ეს ძველი დაჯგუფება და სულ ტყუილა იქნა გადაყენებული ქალბატონი კაპანაძეც. ფუჭი იყო ეს კონკურსები, აურზაური, ხალხის წყრომაც „აჭარის ტელევიზიაში“ გაბატონებული სატელევიზიო კონტენტისა, ტინგიცობის და მემარცხენე ლიბერალური მსოფლაღების მქონე, დომინანტი გუნდის ბოგინის გამო. ისრებმა კი გადაინაცვლა, პრეტენზიები დიდწილად პროფშეუსაბამო ახალ დირექტორისკენაა მიმართული, მაგრამ ქართულ საქმეს მაინც ისინი ასოდეს - 5

უფრო სწორად, აგრძელებენ კაპანაძის დროინდელ ნეოლითურალურ დისკურს და პასუხსაც ვეღარავინ ითხოვს. როგორც, ეს მაგალითად კაპანაძის შემთხვევაში მოხერხდა, რომელიც ამ წრის ორგანული ნაწილი და მათგანვე ნაწარმოები ფიგურა გახლდათ. ესენი ხომ საერთოდ გამიჯნულნი არიან ახალ ადმინისტრაციას - ფორმალურად ვერც კი შეედავები. რადგანაც ფორმალური პასუხისმგებლობა მანდ, გადანაწილებულია უუნარო ახალ დირექტორსა, მის მოყვანილ რამოდენიმე კაცზე.

ფაქტი სახეზეა, მისია სამარცხვინოდ ჩაფლავებული, და ბატონ კოხრეიძეს ნატამალი სინდისი რომ ჰქონდეს შერჩენილი, წესით უკვე გადამდგარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, კაცს რომელმაც მთელი აჭარის თვალწინ ასე უტიფრად და ნეპოტიზმის წყალობით დაიკავა წესითა და რიგით სხვისი ადგილი, რა ნამუსზე და თავმოყვარეობაზე უნდა ელაპარაკო?

ლოგიკური კითხვაც იბადება - მაშინ როგორდა ინარჩუნებს აქამდე ამ ადგილს ასეთი კადრი? თანაც ბათუმისთის უცხო, უისტორიო და უავტორიტეტო პერსონა? თემაში ჩაუხედავიც კი ხვდება, რომ იქ, რეფორმას „მორალური უპირატესობის“ და „სიცხადის“ გარეშე ვერ გაატარებ, რაც კოხრეიძეს უბრალოდ არ გააჩნია, არაა მისი ბუნების ნაწილი. მის კოგნიტიურ შესაძლებლობებზე და თავშივე გამომჯდავნებულ „კვაჭობაზე“, რომ აღარაფერი ვთქვა. მაშ როგორ დაუშვეს, საკვანძო რეგიონის ესოდენ მნიშვნელოვანი მედიაბერკეტის მასზე მიბარება? ვგონებ, ბევრს აწყობს და მაგიტომაც; აწყობს მაგალითად „მეგობარი ქვეყნების“ ელჩებს, სანამ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მიმდინარეობს და გაირკვა ახალი საერთშორისო დღის წესრიგი. ასევე, მანამ დაინგრა ეპოქის ფუძემდებლური ილუზიები. „მიშისტური“ ტელევიზიებისთვის მისაღებია როგორც მაგალითი იმისა, თუ რა არაკომპეტენტურ კადრებს ანიჭებენ უპირატესობას გარკვეული წრეები ხელისუფლებაში. მისაღებია „აჭარის ტელევიზიის“ იმ ნაწილისთვის, ვინც წლებია „კარმუშკად“ იქცია ეს ბედოვლათი უწყება და ნებისმიერ რეფორმას ეგზისტენციალურ საფრთხედ აღიქვამს. რა თქმა უნდა, მისაღებია „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“, რომლის პარტიული მარკერები მაგ ტელევიზიის სავიზიტო ბართადაა ქცეული. თავისთავად, ძველი თანამშრომლების იმ კლასტერისთვისაც მისაღებია, ვინც კოხრეიძის უუნარობისა გამო თავისფლად აგრძელებს ნეოლითურალური კოდების იმპლემენტაციას აჭარის მოსახლეობაში, ამავე დროს ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებულია და ა.შ.

სიტყვაზე, არ ეგონოს ვინმეს რომ „აჭარის ტელევიზიაში“ ამ მხრივ, რამე უნიკალური ხდება: ეს ფენომენი მთელი ქვეყნის მასშტაბით გვხდება, განსაკუთრებით კი ისეთ ადგილებში სადაც 2012-ის მერე კოალიციურ რეჟიმში მოსულმა და შემდეგ დაშლილმა „ოცნებამ“, ამ ანტიმიშისტური ერთობიდან გასული პარტიების ლიდერშიპის იდეური მიმდევრები („რესპუბლიკელები“, ალასანია and so on, და ენჯეო-სექტორი) არათუ დაიტოვა, ენდო და ქალაქები, მთელი ინსტიტუტები მიანდო. ასე იყო აჭარაშიც, სადაც ამ შემთხვევაში ალასანიას დაჯგუფებამ, „ოცნების“ მანდატით, მოხერხა და ჯერ აჭარის უმაღლესი საბჭო დაკომპლექტა, მერე მაგ საბჭომვე წინანდელი ბორდი, შემდეგ კი ბორდმა ეს კაპანაძე და მისი ამალა აღაზივა.

დაახლოებით ასეთივე კაუზალურობით მოხდა რეგიონის დანარჩენ უწყებებში მსგავსი ფსიქოტიპის და ბექტრაუნდის კადრების ჩანერგვაც - პორტირება, შეღწევა, და ბოლო-ბოლო, ვერტიკალაში დამკვიდრება... „არასწორად შეკრული პირველი ფოლაქის“ პრინციპით. ასეთივე, არასწორად მოჭრილი თარგით, პროცესები განვითარდა სხვა მიმართულებებითაც... თუმცა, ამაზე მომდევნო წერილებში იყოს. მოკლედ, მსგავსი პროცედურითა და შესაბამისად, მაქციების დირექტივით ან სულაც პრობლემების მიჩუმათებით, გრძელდება ეს უმსგავსობა „აჭარის ტელევიზიაში“ დღეის მდგომარეობითაც.

რთული სურათია - ფრაქტალივითაა აქ აწყობილი ყველა ეპიზოდი. ერთი მეორის ანარეკლია და ძირს, წყაროს თუ ვერ მივაგნებთ, მოგვიწევს ჩრდილებზე მარადიული დევნა - „ჯოხზე ყეფა და არა იმაზე, ვინც ეს ჯოხი ისროლა“. ამიტომაც ვცდილობ, ასე სკრუპულოზურად, ლამის ანატომიურ დონეზე და ნეკროფსიის მეთოდით მივაგნო პირველმიზეზს. რადგანაც, სხვაგვარად სიმპტომების გამოვლენა და არა ავადმყოფობის მკურნალობა გამოგვივა. სენი კი მერწმუნედ, სერიოზულია; მეტსტაზები „აჭარის ტელევიზიის“ მთელს ორგანიზმშია გასული. კოლექტივიც ფრაგმენტირებულია, ყველა ფრაგმენტს კი რეალობის აღქმის და ისტორიის მისეული, ზეიდეოლოგიზირებული ვერსიები გააჩნია, რომლებიც თავის მხვრივ ფუნდამენტურ კონფლიქტში მოდიან ერთმანეთთან და ენტროპიას აფართოვებენ ... ეს კიდევ არაფერი, აიტანდა კეთილსინდისიერი მოქალაქე, მაგრამ იმის გათვალისწინებით რომ ბათუმი პატარაა, კოლექტივი კი მანდ დიდი, ეს ავთვისებიანი სიმსივნე ტელევიზიიდან მთელს საზოგადოებას ქსელურად ედება. იქ გამომუშავებულ პროდუქტს კი, ფასეულობებს, სულისკვეთებას - ბათუმი და აჭარა, ორიენტირად, ქცევის მოდელად იყენებს. საგანგაშოა, რადგანაც, 10 000 000\_ნი, სახელმწიფო დაფინანსების წყალობით სასათბურე პირობებში იმყოფება ძალა, რომელიც იზრდება, ბიპოლარული აშლილობის ვირუსად გადის ერში და ბერში, ახალგაზრდებში; ალპობს მათ სულს, მემარცხენე ლიბერალებად, რელატივისტებად, ქსენოფობებათ და ჰედონისტებად აყალიბებს. დამატებით, უმატებს ამომჩეველს ისეთ ანტისახელმწიფოებრივ, არქაულ მითებში და ნაციონალისტურ თრობაში ჩაძირულ, მაგრამ თვალის ასახვევად, ვესტერნიზაციის სამოსში გახვეულ ძალას, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“ და მათთან აფილირებული პარტიებია. ამიტომაც მიმაჩნია ეს ვითარება დაუშვებლად და სასწრაფო წესით აღსაკვეთი; არ შეიძლება სატელევიზიო ელიტად კუთხეს, ქალაქს, ჰყავდეთ ამ იდეოლოგიის, პრიორიტეტებისა და მიდრეკილებების აპოლოგეტები.

„სოციალური ინჟინერიის“ ანა-ბანაა; საზოგადოება ისეთია, როგორიც დომინანტი, მეტა-ტექსტების მწარმოებელი წყარო ჰყავს, ამ შემთხვევაში, აქ ეს „აჭარის ტელევიზიის“ უურნალისტთა კორპუსია - მათ უხდის ქართული სახელმწიფო 10 000 000 ლარს და რაში?.. კატასტროფაა, პასტორალურ-პატრიარქალური, უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და გამოწვევების წინაშე მდგარ აჭარისთვის, როდესაც 24-სათიანი რეჟიმში, მაუწყებლობის საშუალება აქვს ამ კლასტერს ალტენტიული აზრის გარეშე; კერძოდ, ტრადიციულ-კონსერვატორული და კლასიკურ-ლიბერალური იდეოლოგიის არქონის პირობებში. მერედა, დამატებით მესანისტური ზრახვებით შეპყრობილნი (რაც ზოგადად თანმდევია ნეოლიბერალური ტიპის კვაზიიდეოლოგიებისთვის), იძულება

აბორიგენებში წმინდა წერილის გავრცლების ღვთაებრივი მისია აქვთ დაკისრებული უზენაესისგან. ესეც არ იქნებოდა საგანგაშო, რომ „მასობრივ მოქალაქეს“, ღრმა ჰუმანიტარული ცოდნა სიდიოდეს თავის ქალაში სხვადასხვანირი კლიშეების მაგიერ კომიქსებიდან. სერიოზულ ლიტერატურაზე იზრდებოდეს, ერკვეოდეს და უყვარდეს მუშაობა პირველწყაროებთან, მაგრამ ყველამ ვიცით რომ ეს როდია ასე. ამის, და მეტადრე კრიტიკული აზროვნების ნიველირების გამო; ეკრანებიდან გადმონთხეული ნებისმიერი, ნეოლიბერალურ პრიზმაში გარდატეხილი საინფორმაციო ნაკადი & მოტინგიცე სელიბრითების „ინფორმინტმენტი“, ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად საღდება. ასევე; ნდობა რეგიონში, „აჭარის ტელევიზიის“ მიმართ, ალტერნატივის არქონის პირობებში და იმ რეფერერენტულ შრეებში, რაზეცაა გათვლილი საზოგადოებრივი მაუწყებელი, არის იმდენად მაღალი, რომ გავლენას ახდენს ბათუმელების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზეც. სწორედ „აჭარის ტელევიზია“ კარნახობს აჭარლების სკმაოდ დიდ სეგმენტს, რომ მილიტარისტული რიტორიკა, აფხაზეთის და ცხინვალის დაბრუნების გზაა, ნაციონალისტური ექსტაზი პატრიოტიზმის გამოვლინება, ტრადიციული კონფესიების თაყვანი, სიბრძელე. მომხმარებლის ინსტინქტი კი, მსუყე ცხოვრების და ნათელი ძალების გეზია. მოკლედ, მანდ სინათლედ საღდება სიბრძელე, ქრესტომატიული მაკიაველისტური მეთოდოლოგიით-მეთქი; არადა, ჯერ კიდევ მაცხოვარი აფრთხილებებდა მოწაფეებს, კარგად დაკვირვებოდნენ, რომ სინათლე, რომელსაც ხედავენ, სიბრძელე არ იყოს. იგივე შინაარსის გაფრთხილებას ყურანშიც ვხედევთ; ასე მაგალითად, ტერმინი „მუთაშაბბიჰათ“ („მიმსგავსებულნი“), ისეთ რამეს ნიშნავს, რაც ჭეშმარიტებას ჰგავს, მაგრამ ჭეშმარიტება როდია. მომიტევოს მკითხველმა გართულება, და მითოლოგიურ ჭრილში გადასვლა. მაგრამ იმდენად ონტოლოგიურ თემასთან გვაქვს საქმე, გარეგნული, საერო იარლიყის მიუხედავად, რომ რელიგიურ კატეგორიაში გარკვეული პასაუებით გადასვლის გარეშე ვერანაირად ავღწერდი თუ რა ქტონიკურ და რეგიონის სტაბილორობისთვის საშიშ ძალებთან გვაქვს საქმე.

მეტი ვიზუალიზაციისთვის დავსძენდი, რომ გამოიყურება ეკრანზე, ეს ნეოლიბერალ რედაქტორთა ხრიკები შემდეგნაირ სურათად; გამოიყვანენ რა, ალოკილ, სამჯერ განათხოვარ სოციალურად უპასუხისგებლო კველყას თოქ-შოუში და დაუპირისპირებენ ფეთხუმ, ცხოვრებით დაქანცულ ქალბატონს, რომელსაც 5 შვილი და უზომო კომუნალური გადასახადები ელოდება შინ. როგორც წესი, მათ შორის, განათლების ცენტრიც თვალში საცემია. მაგალითად, პირველი საუბრობს „თავისუფალ სიყვრულზე“, „ჩაილდფრიდობაზე“, „აგრესიულ ფემინიზმზე“ and so on., მსგავსი მატრონების მიერვე შექმნილ წრეზე, დღენიადაგ რომ ნავარდობენ არჩეული ცხოვრების წესის წყალობით. ასავე შეპარვით, კურტიზანობის უპირატესობასაც დაამტკიცებს, მერედა შეიძლება სამაკლერო საქმიანობას შეეხოს დადებით კონტექსტში ან აზარტულ თამაშებზე გადაკრას ორიოდე დადებითი წინანადედება. დამატებით, რამოდენიმე სიტყვით დასძენს, რომ ტრანსვესტისტებიც ჰყავს წრეში და ეს არათუ დასაძრახია, სიტყვასაც შეაწევს. „აჭარის“ ტელევიზიის მაყურებელს, „International Transgender Day of Visibility“ მიულოცავს, რომელიც თურმე ყოველწლიურად 31 მარტს აღინიშნება და ფრიად მნიშვნელოვანია აჭარის მოსახლეობის საცივილიზაციო გასხივოსნებისთვის, ბნელი „გრუზინული“ მარწუხებისგან გათავისუფლებისთვის ... მოკლედ, ამ „ნათელ“ ფონზე, მეორე

„ბნელი“ ქალბატონი ერთგულებაზე, სოციალურ პასუხისმგებლობაზე, ბავშვების აღზრდაზე, გულწრფელ სიყვარულზე, წესიერ შრომაზე და ტრადიციული ფასულობების მნიშვნელობაზე მოკრძალებით გვესაუბრება. ამას უყუებს ახალგაზრდა, ჩამოუყალიბებელი მაყურებელი - ხედავს რა, რომ პირველი უფრო „ნათელია“, შესაბამისად ცხოვრებისული ცოდნაც მეტი აქვს, და მისგან გამომდინარე პირველი შეხედვით და ბუკვალისტურად თუ მიუვადგებით, რა თქმა უნდა დაცულია მაყურებლის უფლება მოუსმინოს ორ განსხვავებულ ვერსიას და თავად გააკეთოს არჩევანი, ფორმალურადაც ვერც შეედავები - განა არაა ორივე პოზიცია წარმოდგენილი? მაგრამ სინმდვილეში ხომ ხვდებით, რომ ასე არ არის.

ეს, ერთი დეტალიზირებული მაგალითია იმ მრავალთაგან, რაც შემიძლია აქ მოვიყვანო; მაგრამ, არ მსურს მოვახვიო მკითხველს ჩემეული დეკონსტრუქციები. საერთოდ, უცხოა ჩემთვის ყოველგვარი დოქტრინიორობა და დოგმატი. ამიტომაც ვთავაზობ მას მხოლოდ ფიქრს - ასეთი, ცალკული ფრაგმენტებისგან საკუთარი სვლით მისვლას იმ ბიფურკაციის წერტილამდე, საიდანაც „აჭარის ტელევიზიაში“ არსებული სრული და სავალალო სურათი გადაიშლება. ბოლოს და ბოლოს ჩაჯდომას რა ეკრანთან, და თუნდაც ინტერესის გამო, ამ ასოციატიური ანალიზის და დადარების მეთოდით გამოაშვარავებას იმ ზემოქმედების ტექნოლოგიების და სხვა მანიპულაციების, რითიც წლებია კვებავს „აჭარის ტელევიზიის“ კრეატიული ნაწილი მოსახლეობას. ტექნიკურ პერსონალას რაც შეეხება მანდ, მათზე აბა ეს პრეტენზიები არათუ არ ვრცელდება, ვგონებ მათი უდიდესი ნაწილი კიდეც მძევალია იქ არსებული კონფიგურაციის. ძალთა განლაგების, სადაც ერთის მხრივ ეს ახალი უუნარო ადმინისტრაცია და მეორე მხრივ, ძველი ნეოლიბერალური ტოქსიკური დაჯგუფება არ აძლევთ საშუალებას კეთილსინდისიერად შეასრულონ საზოგადოების მიერ დაკისრებული ვალდებულებებით.

მოკლედ, როგორც ავღნიშნე ზემორე, მსგავსი ტექნიკები კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ გვამყოფებენ თავისუფალი არჩევანის ილუზიაში ისინი, ვისაც აბარია „სოციალური ინჟინერია“ ჩვენში; ტინგიცობა, „გენდერული თეორიები“, გემბლინგი, ნარკომანია და ა.შ., რომელი ერთი მანკიერება ვახსენო, რასაც „აჭარის ტელევიზიის“ უნდა აღეკვეთა ახალ მენეჯერს, რაც ვერ შესძლო. რადგანაც, „თამადობა“ და გავლენიანი მეგობრები ვერტიკალში, როდია საკმარისი ისეთი ცვლილებებისთვის საბაზისო დონეებზე რასაც „აჭარის ტელევიზიაში“ გასატარებელი რეფორმა ითხოვდა. ზემორე, თანაც მეტი ინტენსივობითა და ფანატიზმით ზოგადქართული მასშტაბითაც ხდება რა თქმა უნდა. მაგარამ ჩვენს კუთხეში ორკესტრირებულია „აჭარის ტელევიზიის“ მიერ; მერედა, ცენტრში ეს იმდენად საშიში არაა, როგორც აქ, ალტერნატივის არქონის პირობებში. ეს მოცემულობა, სავსებით საკმარისია მაგალითად იმისათვის, რომ „მიშისტური“ მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბო ბათუმლების უმრავლესობას თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც. რომელიმე, ნეოლიბერალური პარტიის პროგრამაში ასახვით კი, არჩევნებზე მათი ხმები მოიპოვო, და ამ კომბინაციით კორექცია შეიტანო ზოგადაქართულ პილიტურ ველში. თავი რომ გავანებოთ საუბრებს, იმ განუზომელ ზიანზე საზოგაოებისთვის, ფსიქიკური და მორალური პიგიენის რღვევის თაოსაზრისით რა არ არის განკუთხული.

ნეოლიბერალური ხედვების ზედოზირებული ტრანსლაცია მოაქვს. მავანი ბუკვალისტი შემედავება; როგორ გეკადრებაო და ჩვენი არხით „ოცნების“ სახეებიც გამოდიანო. შიგადაშიგ ტრადიციონალისტები და კონსერვატორებიც, ბალანსიც დაცულია-ო. საერთაშორისო ორგანიზაციებსაც დაიმოწმებენ (მელას და მისი კუდის არ იყოს), და მოგამახებენ, ექსპერტთა ლეგიონიც ჩართულია მოვლენების ჩვენეულ ინტერპრეტაციაში. ჯერ ერთი გასარკვევია, ეს „ოცნების“ წევრები „ოცნებაში“ რა გზებით აღმოჩნდნენ და მაგ პარტიის მანდატის მიუხედავად, რა სულისკვეთების არიან სინამდვილეში. მეორე - ეს საკითხისადმი პროფანული მიდგომაა და ამის მიღმა, თუ არ ითხოვენ „აჭარის ტელევიზიისგან“ რამეს, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ ხალხი, ვის ვალდებულაშიც შედის მაუწყებლის ზედამხედველობა ძალზე შორს დგანან კომპეტენციით, სახელმწიფოს მიერ მათზე დაკისრებული მოველეობებისგან. მესამე და მთავარი; ერთია რასაც ქადაგებენ ნეგოციანტები, ენჯეო-სექტორი, ეს ფინანსი ნეოლიბერალი ექსპერტებობა სატელევიზიო სივრცის თავისუფლება-ცენტურაზე და მეორეა მკაცრი რეალობა. რადგანაც, მსოფლმეხდველობა ყალიბდება პირდაპირი და ფონური ინფორმაციის მეშვეობით. სხვა დანარჩენი ბლა-ბლა-ბლაა, ხრიკები თვალის ასახვევად და კვალის არევის მიზნით. მაგალითად, პირდაპირი ინფორმაციის მიღებას (აი როგორც წინამდებარე სტატიაა თქვენთვის, თუნდაც); ავად თუ კარგად ვაკონტროლებთ გემოვნების, განათლების ცენტისა და შესაბამისი დისციპლინის მეშვეობით. ფონური კი, ჩვენსგან დამოუკიდებლად აღწევს გონებაში და სხვდასხვა მითოლოგების, ისტორიების ნაგლეჯია. ერთობლიობაში, სწორედ რომ ეს სინთეზი განაპირობებს ჩვენს პოზიციას საკითხებისადმი. ეს ხდება შესაბამისი საიმიჯო ფიგურის, ფერის, მუსიკის, ფილმის, კომპოზიციის და ა.შ., სინერგიის მეშვეობით. ასე რომ, არა ცალკე აღებული ფაქტი, არამედ კონტექსტი და ქვეთექსტი, საკითხის ემოციური ფონი განაპირობებს ფაქტის ინტერპრეტაციას ჩვენი გონების მიერ. გარდა ამისა, ტექნოლოგიები ისე დაიხვეწა, საჭირო განწყობისა და მსოფლმეხდველობის ფორმირება იმდენად ბუნებრივად ხდება, რომ მაყურებელს აშკარად ეჩვენება ის, რაც სინამდვილეში არხის რედაქტორების მსოფლმეხდველობის პრიზმაში გარდატეხილი რეალობაა. დაამატეთ ამას ბიოლოგია, რეფლექსია ამა თუ იმ ფერზე, სურათ-ხატები, რომლებიც კალეიდოსკოპური სიჩქარით ცვლიან ერთმანეთს და მიიღებთ მოზაიკისებურ სურათს ნაკადის, რომელსაც შესაბამისი ოპტიკით აღჭურვილ ჯგუფებს შეუძლია მიმართოს მაყურებლის სიმპათია-ანტიპათია იქით, საითაც უნდა!

ცნობისთვის, რამეს არ ვამლაშებ; ეს ექსპერიმენტულადაც დამტკიცებულია ჯერ კიდევ 20-იან წლებში. ლევ კულეშოვის მიერ ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ ფაქტის აღქმისთვის უპირველეს ყოვლისა გადამწყვეტია ქვეთექსტი, ფონი და კონტექსტი. ასე მაგალითად, ექსპერიმენტში მაშინ გამოიყენეს 3 ეპიზოდი - ცხელი, ორთქლიანი წვნიანით სავსე თევში, ბავშვი კუბოში, გოგონა, რომელიც დივანზე მომშიბვლელად იწვა და იღიმოდა. შემდეგ კი ფილმი, ერთი და იგივე მსახიობით და სახის გამომტყველებით, სამ ნაწილად გაიჭრა. ცალ-ცალკე ნაჩვენები იყო ნაწყვეტი წვნიანით სავსე თევფშის კადრებით, კუბოში ბავშვით და დივანზე მწოლიარე, მომღიმარე გოგონას კადრებით. ყველა ის მაყურებელი, ვინც ფრაგმენტებს დამოუკიდებლად უყურებდა, მივიდა დასკვნამდე, რომ პირველ ფრაგმენტში გმირს სურდა ჭამა, მეორეში ის წუხს ბავშვის სიკვდილის გამო, მესამეში კი მოხიბლულია გოგონას მაცდური თამაშით დივანზე. არადა, სინამდვილეში, მსახიობის სახის,

გამომეტყველება, სამივე შემთხვევაში ერთნაირი იყო. ასე და ამგვარად, იყენებენ რა მსგავს ტექნოლოგიებს წამდაუწუმ, თამაშობენ ჩვენი გრძნობებით „მიშისტური“ ტელევიზიები. მისასალმებელი იქნებოდა კიდევ, ეს ტექნოლოგიები, აյ რომ განათლების, კულტურის დონის და სამოქალაქო შეგნების ასამაღლებლად გამოყენებინათ, მაგრამ ამისათვის, რეალობის სხვა კონცეფციის მატარებელი უნდა იყო. ღმერთი, სამშობლო, ტრადიცია, ოჯახი და სილამაზე გიზიდავდეს, და არამც ქვენა ინსტინქტები. აქვე, უნდა ითქვას ისიც რომ, ამ ფრიად იეზუიტურ საქმიანობაში, უბრალო უურნალისტები ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან. არც აყენებენ საქმის კურსში ისინი, ვინც ესოდენ ფილიგრანულად ატარებს არხის პოლიტიკას. და თუ ვინმემ, ჯერ კიდევ კარგად ვერ გაიგო, „აჭარის ტელევიზიაში“ გაბატონებული იდეოლოგიის არსი და შესაბამისად, თუ რის ინდოქტრინიზაციას ცდილობენ ისინი აჭარაში, პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშეც გეტყვით; სქესის შეცვლას ბავშვებისთვის, ათობით „გენდერს“, საშუალო სქესის ადამიანს, მშობელი A და მშობელი B-ს, ნარკოტიკების ლეგალიზაციას, ნეო-ნაციზმის პოპულარიზაციას, „გაუქმების კულტურას“ (cancel culture) და ა.შ. და არც კი შემედავოს ვინმემ, რომ ეს ასე არ არის. საკმარისია გაეცნო „კანონს მაუწყებლის შესაბ“, „უურნალისტური ეთიკის ქარტიას“, მაგ კანონიკური ლიტერატურის გუშაგთა მიდრეკილებებს, გამონათქვამებსა და წარსულს. გაჰყვე სიღრმეებში თეზისებს, მიაგნო პოსტულატებს და პირველწყაროებს. ასევე, აშშ-ს დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიურ პლატფორმას გაეცნო, რომელსაც ჩვენი ნეოლიბერალური უურნალისტიკა ეყრდნობა. შესაბამისად, მათი ელჩის, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში გაკეთებულ დირექტივებსაც გადახედო და თვალნათლივ დაინახავს, ყველზე მოუმზადებელი მკითხველიც კი, თუ რას ითვალისწინებს ეს პოლიტიკა. ეგაა, რომ ჯერ ბოლომდე ვერ ბედავენ - წვეთობით გვაწვდიან „ჭეშმარიტების“ მათეულ ვერსიას და ამას „თავისუფლებას“ ამოფარებულნი აკეთებენ. მუშაობენ პრინციპით, გაართე და ჩაუნერგე აზრი, რომ ტრანსვესტიტობა კარგია, „თავისუფალი სიყვარული“ მისაღები, ეკლესია - რუსეთუმებით სავსე, ბნელეთის მოციქულია და ა.შ. აი ამას, და აქედან ნაწარმოებ აქტივობებს ვერაფერი დაუპირისპირა ახალმა მენეჯმენტმა. ეს იყო მანდ ძირითადი პრობლემა, რაზე მეც ვერიდებოდი გარკვეულ ეტაპამდე საუბარს და არა ის, თუ რამდენი წუთი დაეთმობა ამა თუ იმ პარტიის წევრს პირდაპირ ეთერში. შეჯამებისას, დავსძენდი; რადგანაც კონცეპტუალურ დონეზე ვერ მოამზადა რეფორმა / ვერც სათანადო კომპეტენტური, ალტერნატიული გუნდი მოიზიდა / ასევე, საკუთარი უნიკალური პროექტი ვერა და ვერ დადო / დამატებით თავი გამოამუდავნა როგორც უსუსურმა ტექნოკრატმა, როელსაც მხოლოდ ერთიღა ლეგიტიმური გზა დარჩა, ფორმალური მიზეზებით ათავისუფლოს ესა თუ ის არალოიალური კადრი, შეიძლება ითქვას რომ კოხრეიმებ ამოწურა ყველა თავისი შესაძლებლობა და მორალური უფლებაც აღარ აქვს ერქვეს „აჭარის ტელევიზიის“ დირექტორი. მაგრამ ამაზე, უფრო დეტალურად დასკვნით, მე-8 ნაწილში ვისაუბრებთ!